

ფინანსური ანგარიშგება და
დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა
შპს ამტელ ჰოსპიტალ პირველი
კლინიკური

2019 წლის 31 დეკემბერი

(დოკუმენტი წარმოადგენს ინგლისური ორიგინალის თარგმანს)



სარჩევი

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	7
მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლების ანგარიშგება	8
კაპიტალში ცვლილების ანგარიშგება	9
ფულადი ნაკადების ანგარიშგება	10
1 ძირითადი ინფორმაცია და საქმიანობა	11
2 შედგენის საფუძველი	11
2.1 განცხადება შესაბამისობის თაობაზე	11
2.2 შეფასების საფუძველი	12
2.3 საოპერაციო და ანგარიშგების ვალუტა	12
2.4 შეფასებების და მოსაზრებების გამოყენება	12
2.5 ახალი და შესწორებული სტანდარტების დანერგვა	12
<i>ფასიკ 23 განუსაზღვრელობა მოგების გადასახადის გამოყენებასთან დაკავშირებით</i>	13
3 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა	14
3.1 უცხოური ვალუტა	14
3.2 ძირითადი საშუალებები	15
3.3 არამატერიალური აქტივები	15
3.4 ძირითადი საშუალებების და არამატერიალური აქტივების გაუფასურება	15
3.5 იჯარა	16
3.6 სასაქონლო მატერიალური მარაგები	17
3.7 ფინანსური ინსტრუმენტები	17
3.9 კაპიტალი	20
3.10 სახელმწიფო გრანტები	20
3.11 მოგების გადასახადი	21
3.12 შემოსავალი	21
4 ძირითადი საშუალებები	23
5 აქტივების გამოყენების უფლება	23
6 სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	24
7 ფული სალაროში და საბანკო ანგარიშებზე	25
8 კაპიტალი და რეზერვები	25
8.1 საწესდებო კაპიტალი	25
9 სესხები	25
10 იჯარა	27
11 სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	29
12 საპროცენტო შემოსავლები და ხარჯები	29
13 მოგება/(ზარალი) საკუროსო სხვაობიდან	30

14	მოგების გადასახადის ხარჯი	30
15	შემდგომი მოვლენები	30
16	მნიშვნელოვანი ბუღალტრული შეფასებები და დაშვებები	31
16.1	მნიშვნელოვანი ბუღალტრული შეფასებები	31
16.2	საკითხები ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპთან დაკავშირებით	31
17	ფინანსური ინსტრუმენტები	32
17.1	მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა	32
17.2	ფინანსური ინსტრუმენტების კატეგორიები	32
18	ფინანსური რისკის მართვა	33
19	სამართლიანი ღირებულებით შეფასება	36
19.1	ფინანსური ინსტრუმენტების სამართლიანი ღირებულებით შეფასება	37
20	კაპიტალის რისკის მართვა	37
21	პირობითი მოვლენები	37
21.1	ბიზნეს გარემო	37
22	ფინანსური საქმიანობიდან წარმოქმნილი ვალდებულებების რეკონსილაცია	38
23	დაკავშირებული მხარეები	39
23.1	საკონტროლო ურთიერთობები	39
23.2	დაკავშირებულ მხარეებთან განხორციელებული ოპერაციები	39

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

(დოკუმენტი წარმოადგენს ინგლისური ორიგინალის თარგმანს)

შპს გრანთ თორნტონ

ქეთევან წამებულის გამზირი 54
0144, თბილისი, საქართველო

ტ. + 995 322 604 406

Grant Thornton LLC

54 Ketevan Tsamebuli Avenue
0144 Tbilisi, Georgia

T + 995 322 604 406

შპს “ამტელ ჰოსპიტალ პირველი კლინიკურის” მფლობელს:

დასკვნა

ჩვენ ჩავატარეთ 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებული შპს “ამტელ ჰოსპიტალ პირველი კლინიკურის” (“კომპანია”) ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც მოიცავს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებას 2019 წლის 31 დეკემბრისათვის, მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლების ანგარიშგებას, კაპიტალში ცვლილებების და ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგებას აღნიშნულ თარიღში დასრულებული წლისათვის, აგრეთვე მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკების მიმოხილვას და სხვა განმარტებით შენიშვნებს.

ჩვენი აზრით, ფინანსური ანგარიშგება სამართლიანად ასახავს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას 2019 წლის 31 დეკემბრისათვის, მის ფინანსურ შედეგებსა და ფულად ნაკადებს ანგარიშგებას აღნიშნულ თარიღში დასრულებული წლისათვის ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად.

დასკვნის საფუძველი

აუდიტი ჩავატარეთ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად (“ასს”). ჩვენი პასუხისმგებლობა, აღნიშნული სტანდარტების მიხედვით, აღწერილია ამ დასკვნის აზრადმი სათაურით “აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე”.

ჩვენ კომპანიისგან დამოუკიდებლობები ვართ, როგორც ამას მოითხოვს პროფესიონალ ბუღალტერთათვის საერთაშორისო ეთიკის სტანდარტების საბჭოს მიერ შემუშავებული ეთიკის კოდექსი (“IESBA Code”). ჩვენი დამოუკიდებლობა ასევე შესაბამისობაშია საქართველოში არსებულ მოთხოვნებთან და ჩვენ სრულად ვასრულებთ სხვა მოთხოვნებს, რომელიც განსაზღვრულია ეთიკის ნორმებით. დარწმუნებული ვართ, რომ აუდიტის პროცესში მოპოვებული მტკიცებულებები საკმარის და შესაფერის საფუძველს გვაძლევს აუდიტორული დასკვნისთვის.

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს) შესაბამისად პასუხისმგებელია კომპანიის ხელმძღვანელობა. ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა აგრეთვე მოიცავს შიდა კონტროლის ისეთი სისტემის შემუშავებასა და დანერგვას, რომელიც უზრუნველყოფს თაღლითობით თუ შეცდომით გამოწვეული არსებითი უზუსტობებისგან თავისუფალი ფინანსური ანგარიშგების მომზადებას.

ფინანსური ანგარიშგების მომზადების პროცესში ხელმძღვანელობა ვალდებულია განიხილოს კომპანიის მიერ მომავალში ფუნქციონირების უწყვეტად გაგრძელების შესაძლებლობა, საჭიროების მიხედვით ანგარიშგებაში წარადგინოს შესაბამისი ახსნა-განმარტებები ამ საკითხთან დაკავშირებით და ფინანსური ანგარიშგება მოამზადოს ფუნქციონირებადი საწარმოსდაშვების პრინციპით, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ხელმძღვანელობა აპირებს

კომპანიის ლიკვიდაციას ან ოპერაციების შეწყვეტას, ან როდესაც ხელმძღვანელობას არ აქვს სხვა რეალური ალტერნატივა, გარდა საქმიანობის შეწყვეტისა.

მმართველობითი უფლებამოსილებით აღჭურვილი პირები პასუხისმგებელი არიან ზედამხედველობა გაუწიონ კომპანიის ფინანსური ანგარიშგების მომზადების პროცესს.

აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშის აუდიტზე

ჩვენი მიზანია მოვიპოვოთ დასაბუთებული რწმუნება მასზედ, შეიცავს თუ არა ფინანსური ანგარიშგება თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობებს და წარვადგინოთ ანგარიში, რომელიც მოიცავს ჩვენს აუდიტორულ დასკვნას (მოსაზრებას) აღნიშნულზე. დასაბუთებული რწმუნება არის მაღალი დონის რწმუნება, მაგრამ ის არ არის გარანტია იმისა, რომ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად ჩატარებული აუდიტი აუცილებლად გამოავლენს არსებით უზუსტობებს მათი არსებობის შემთხვევაში. უზუსტობა შეიძლება წარმოიშვას თაღლითობის ან შეცდომის შედეგად. უზუსტობები მიიჩნევა არსებითად, თუკი, გონივრულობის ფარგლებში, მოსალოდნელია, რომ მათ, ცალ-ცალკე ან ერთობლიობაში, შეუძლიათ გავლენა მოახდინონ ფინანსური ანგარიშგების მომხმარებლების ეკონომიკურ გადაწყვეტილებაზე.

აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, აუდიტის მსვლელობისას, როგორც აუდიტის პროცესის შემადგენელი ნაწილი, ჩვენ ვიყენებთ პროფესიულ განსჯასა და ვიცავთ პროფესიულ სკეპტიციზმს. ჩვენ ასევე:

- ვსაზღვრავთ და ვაფასებთ ფინანსურ ანგარიშგებაში შესაძლო თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეული არსებითი უზუსტობების არსებობის რისკებს, ვგეგმავთ და ვასრულებთ აუდიტორულ პროცედურებს ამგვარი რისკების საპასუხოდ და მოვიპოვებთ ჩვენი აუდიტორული მოსაზრების ჩამოსაყალიბებლად საკმარის და შესაფერის აუდიტორულ მტკიცებულებებს. თაღლითობით გამოწვეული არსებითი შეცდომების შეუმჩნელობის რისკი შეცდომით გამოწვეული უზუსტობების შეუმჩნელობის რისკზე მაღალია, რადგან თაღლითობა მოიცავს ისეთ ქმედებებს, როგორიცაა შეთქმულება, გაყალბება, განზრახ რაიმე ინფორმაციის გამოტოვება და არასრული სახით წარდგენა, ან შიდა კონტროლის არსწორი წარმართვა.
- ვერკვევით კომპანიის შიდა კონტროლის სისტემის იმ ნაწილში, რომელიც მნიშვნელოვანია ჩვენი აუდიტის მიზნებისათვის, რათა დავგეგმოთ არსებული სიტუაციისათვის შესაფერისი აუდიტორული პროცედურები, მაგრამ არა იმ მიზნით, რომ გამოვხატოთ ჩვენი მოსაზრება კომპანიის შიდა კონტროლის ეფექტურობის შესახებ.
- ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების მომზადებისთვის გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკების, ხელმძღვანელობის მიერ გაკეთებული სააღრიცხვო შეფასებების და ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებების შესაბამისობას.
- განვიხილავთ რამდენად შესაფერისი იყო ხელმძღვანელობის მიერ ფინანსური ანგარიშგების მომზადება ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპზე დაყრდნობით და, მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებების საფუძველზე, ვაფასებთ, ხომ არ არის მნიშვნელოვანი განუსაზღვრელობა დაკავშირებული იმ მოვლენებთან და პირობებთან, რომლებსაც შეუძლიათ მნიშვნელოვანი ეჭვი გააჩინონ მომავალში კომპანიის მიერ საქმიანობის უწყვეტად გაგრძელების შესაძლებლობასთან დაკავშირებით. თუ ჩვენ დავასკვნით, რომ მნიშვნელოვანი განუსაზღვრელობა არსებობს, მაშინ ჩვენგან მოითხოვება აუდიტორულ დასკვნაში მივუთითოთ ფინანსური ანგარიშგების შესაბამისი ახსნა-განმარტებითი შენიშვნა, სადაც განხილულია აღნიშნული მნიშვნელოვანი განუსაზღვრელობა, ხოლო თუკი ფინანსურ ანგარიშგებაში აღნიშნული განუსაზღვრელობის არსებობა არ არის ადეკვატურად აღწერილი, მაშინ მოგვეთხოვება აუდიტორული დასკვნის მოდიფიცირება. ჩვენი მოსაზრებები დაფუძნებულია ჩვენ მიერ აუდიტორული დასკვნის ხელმოწერის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე. თუმცა მომავალში შესაძლოა მოხდეს ისეთი მოვლენები,

რომლებსაც გავლენა ექნებათ კომპანიის ფუნქციონირების გაგრძელების შესაძლებლობაზე.

- განვიხილავთ ფინანსური ანგარიშის მთლიან სტრუქტურას, რომელიც მოიცავს წარდგენებს, თუ რამდენად სამართლიანად არის ასახული მასში ოპერაციები და მოვლენები.

მმართველობითი უფლებამოსილებით აღჭურვილ პირებთან აუდიტის პროცესში გვქონდა კომუნიკაცია აუდიტის მასშტაბის, აუდიტის გეგმის და აუდიტის სხვა მნიშვნელოვან საკითხებზე, მათ შორის შიდა კონტროლის სისტემაში აუდიტის პროცესში გამოვლენილ მნიშვნელოვან სისუსტეებზე.

ვახტანგ ცაბაძე

მმართველი პარტნიორი

2020 წლის 24 აგვისტო



ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

ლარი	შენიშვნა	31 დეკემბერი 2019 წელი	31 დეკემბერი 2018 წელი
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	4	1,990,262	2,772,992
არამატერიალური აქტივები		9,012	4,299
აქტივების გამოყენების უფლება	5	2,670,881	-
		4,670,155	2,777,291
მოკლევადიანი აქტივები			
სასაქონლო-მატერიალური მარაგები		171,991	184,299
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	6	3,691,769	3,805,712
ნაღდი ფული და ფული საბანკო ანგარიშებზე	7	1,074,287	890,015
		4,938,047	4,880,026
სულ აქტივები		9,608,202	7,657,317
კაპიტალი და ვალდებულებები			
კაპიტალი და რეზერვები	8		
საწესდებო კაპიტალი		39,277	39,277
აკუმულირებული მოგება		4,876,252	5,631,065
		4,915,529	5,670,342
გრძელვადიანი ვალდებულებები			
სესხები	9	32,173	1,028,924
საიჯარო ვალდებულებები	10	1,474,377	
		1,506,550	1,028,924
მოკლევადიანი ვალდებულებები			
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	11	1,229,536	949,211
სესხები	9	452,530	-
საიჯარო ვალდებულება	10	1,502,471	
მიმდინარე მოგების გადასახადის ვალდებულება		1,586	8,840
		3,186,123	958,051
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		9,608,202	7,657,317

ფინანსური ანგარიშგება დადასტურებულია 2020 წლის 24 აგვისტოს:

დანიელ გუფთა
დირექტორი

მარინა აზარიშვილი
ფინანსური დირექტორი

ეკა გურული
მთავარი ბუღალტერი

თანდართული შენიშვნები 11-40 გვერდებზე წარმოადგენს წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

ლარი	შენიშვნა	31 დეკემბერი 2019 წელი	31 დეკემბერი 2018 წელი
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	4	1,990,262	2,772,992
არამატერიალური აქტივები		9,012	4,299
აქტივების გამოყენების უფლება	5	2,670,881	-
		<u>4,670,155</u>	<u>2,777,291</u>
მოკლევადიანი აქტივები			
სასაქონლო-მატერიალური მარაგები		171,991	184,299
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	6	3,691,769	3,805,712
ნაღდი ფული და ფული საბანკო ანგარიშებზე	7	1,074,287	890,015
		<u>4,938,047</u>	<u>4,880,026</u>
სულ აქტივები		<u>9,608,202</u>	<u>7,657,317</u>
კაპიტალი და ვალდებულებები			
კაპიტალი და რეზერვები	8		
საწესდებო კაპიტალი		39,277	39,277
აკუმულირებული მოგება		4,876,252	5,631,065
		<u>4,915,529</u>	<u>5,670,342</u>
გრძელვადიანი ვალდებულებები			
სესხები	9	32,173	1,028,924
საიჯარო ვალდებულებები	10	1,474,377	-
		<u>1,506,550</u>	<u>1,028,924</u>
მოკლევადიანი ვალდებულებები			
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	11	1,229,536	949,211
სესხები	9	452,530	-
საიჯარო ვალდებულება	10	1,502,471	-
მიმდინარე მოგების გადასახადის ვალდებულება		1,586	8,840
		<u>3,186,123</u>	<u>958,051</u>
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		<u>9,608,202</u>	<u>7,657,317</u>

ფინანსური ანგარიშგება დადასტურებულია 2020 წლის 24 აგვისტოს:


დანიელ გუშეთა

დირექტორი

მარინა აზარიაშვილი

ფინანსური დირექტორი

ეკატერინე

მთავარი ბუღალტერი



თანდართული შენიშვნები 11-40 გვერდებზე წარმოადგენს წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლების ანგარიშგება

ლარი

	შენიშვნა	2019 წელი	2018 წელი
შემოსავალი სამედიცინო მომსახურებიდან		10,542,147	9,891,263
შემოსავალი ქვე-იჯარიდან		10,346	36,648
სხვა შემოსავალი		87,142	75,027
სულ შემოსავლები		10,639,635	10,002,938
სხვა შემოსავალი		43,468	76,514
ხელფასის ხარჯი (საავადმყოფო)		(4,560,893)	(4,117,337)
ხელფასის ხარჯი		(504,468)	(489,284)
სამედიცინო მომსახურების ხარჯი (საავადმყოფო)		(2,321,629)	(2,113,934)
იჯარის ხარჯი (საავადმყოფო)		(152)	(712,368)
ცვეთა და ამორტიზაცია	4; 5	(2,283,402)	(913,815)
კომუნალური ხარჯი		(445,076)	(426,761)
სანიტარიის და ჰიგიენის ხარჯი (საავადმყოფო)		(442,644)	(451,794)
სამედიცინო ჟანგბადის ხარჯი (საავადმყოფო)		(73,376)	(222,339)
კონსულტაციის და სხვა მომსახურების ხარჯი		(42,417)	(108,094)
საკანცელარიო და საოფისე ხარჯი		(54,037)	(58,947)
გადასახადები, მოგების გადასახადის გარდა		(14,020)	(5,972)
საკომუნიკაციო ხარჯი		(12,642)	(12,662)
რეკლამის ხარჯი (საავადმყოფო)		(9,540)	(9,555)
წარმომადგენლობითი ხარჯი		(6,069)	(1,382)
საექვო მოთხოვნების რეზერვის მოძრაობა		(171,131)	(25,410)
იჯარით აღებული ქონების რემონტის ხარჯი (საავადმყოფო)		(36)	(1,325)
სხვა საოპერაციო ხარჯები (საავადმყოფო)		(53,874)	(29,843)
სხვა ხარჯები		(4,066)	(33,745)
შედეგი საოპერაციო საქმიანობიდან		(316,369)	344,885
საპროცენტო შემოსავალი	12	-	-
საპროცენტო ხარჯი	12	(450,184)	(106,352)
კურსთაშორის სხვაობით გამოწვეული მოგება/(ზარალი)	13	37,344	12,094
ზარალი მოგების გადასახადით დაბეგვრამდე		(729,209)	250,627
მოგების გადასახადის ხარჯი	14	(25,604)	(17,462)
წლიური ზარალი		(754,813)	233,165
სხვა სრული შემოსავალი		-	-
მთლიანი ზარალი საანგარიშგებო წლისთვის		(754,813)	233,165

თანდართული შენიშვნები 11-40 გვერდებზე წარმოადგენს წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს..

კაპიტალში ცვლილების ანგარიშგება

ლარი	საწესდებო კაპიტალი	კაპიტალში კონტრიბუცია	აკუმულირებული მოგება/(ზარალი)	სულ
31 დეკემბერი, 2017 წელი	39,277	(220,513)	5,606,718	5,425,482
წლიური მოგება	-	-	233,165	233,165
სხვა სრული შემოსავლები				
მთლიანი სრული შემოსავლები	-	-	233,165	233,165
კაპიტალის კონტრიბუციის გაზრდა აქციონერის სესხის პირობებში ცვლილების გამო (შენიშვნა 8.2)	-	11,695	-	11,695
კაპიტალის კონტრიბუციის ელიმინაცია აქციონერის სესხის პირობებში ცვლილების გამო (შენიშვნა 8.2)	-	208,818	(208,818)	-
ტრანზაქციები მფლობელებთან		220,513	(208,818)	11,695
31 დეკემბერი, 2018 წელი	39,277	-	5,631,065	5,670,342
წლიური მოგება	-	-	(754,813)	(754,813)
სხვა სრული შემოსავლები				
სრული შემოსავლები	-	-	(754,813)	(754,813)
31 დეკემბერი, 2019 წელი	39,277	-	4,876,252	4,915,529

თანდართული შენიშვნები 11-40 გვერდებზე წარმოადგენს წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

ფულადი ნაკადების ანგარიშგება

ლარი	შენიშვნა	2019 წელი	2018 წელი
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან			
ფულადი შემოსავლები პაციენტებიდან		1,852,096	1,802,202
ფულადი შემოსავლები სამედიცინო მომსახურებიდან		8,489,254	8,380,920
მომწოდებლებისთვის გადახდილი ფულადი სახსრები		(2,970,742)	(2,885,852)
თანამშრომლებისათვის გადახდილი თანხები		(3,961,231)	(3,622,168)
გადახდილი გადასახადები გარდა მოგების გადასახადისა		(995,444)	(921,269)
გადახდილი მოგების გადასახადი		(26,806)	(17,489)
გადახდილი იჯარა		(96)	(2,688,232)
სხვა გადახდები		(23,356)	(24,523)
წმინდა ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან		2,363,675	23,589
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან			
ძირითადი საშუალებებისა და არამატერიალური აქტივების შეძენა		(189,620)	(558,010)
გაცემული სესხი		-	-
წმინდა ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან		(189,620)	(558,010)
ფული საფინანსო საქმიანობიდან			
კაპიტალში შენატანი		-	-
მიღებული სესხები	22	-	1,095,000
სესხების დაფარვა	22	(545,859)	(1,056,795)
საიჯარო ვალდებულებების დაფარვა	22	(1,029,474)	-
გადახდილი პროცენტი (სესხები)	22	(93,021)	(97,786)
გადახდილი პროცენტი (იჯარა)	22	(355,526)	-
წმინდა ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან		(2,023,880)	(59,581)
ფულადი სახსრების წმინდა ზრდა/(კლება)		150,175	(594,002)
ფულადი სახსრები პერიოდის დასაწყისში	7	890,015	1,556,756
კურსის ცვლილების გავლენა ფულზე		34,097	(72,739)
ფულადი სახსრები პერიოდის ბოლოს		1,074,287	890,015

თანდართული შენიშვნები 11-40 გვერდებზე წარმოადგენს წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

ფინანსური ანგარიშგების თანდართული შენიშვნები

1 ძირითადი ინფორმაცია და საქმიანობა

შპს “ამტელ ჰოსპიტალი პირველი კლინიკური” დაარსდა 2011 წლის 5 ნოემბერს. კომპანია მთლიანად არის ამტელ ჰოლდინგ სინგაპურის (Amтел Holdings Singapore Pte LTD, Singapore) მფლობელობაში.

კომპანიის ძირითადი საქმიანობა არის სამედიცინო კლინიკის ფუნქციონირება, რომელიც უზრუნველყოფს სამედიცინო მომსახურების სრულ პაკეტს ნებისმიერი დიაგნოზის მქონე პაციენტებისთვის, როგორც საავადმყოფოში, ასევე ამბულატორიულ კლინიკაში. კლინიკის დეპარტამენტები მოიცავს სხვადასხვა პათოლოგიების დიაგნოსტიკას და მკურნალობას მაღალტექნოლოგიური სამედიცინო აღჭურვილობისა და ტექნიკის გამოყენებით. საავადმყოფოს აქვს შემდეგი დეპარტამენტები:

- მოზრდილთა მიმღებ-გადაუდებელი
- მოზრდილთა რეანიმაცია
- ანესთეზიოლოგია და საოპერაციო ბლოკი
- აბდომინური ქირურგია
- გინეკოლოგია
- გულმკერდის ქირურგია
- სისხლძარღვთა და მიკროქირურგია
- ნეიროქირურგია
- ტრავმატოლოგია-ორთოპედია
- კარდიოლოგია
- ზოგადი თერაპია
- მოზრდილთა ამბულატორიული და ფუნქციური დიაგნოსტიკა
- ზოგადი პედიატრია
- ბავშვთა ამბულატორია
- ბავშვთა მიმღებ-გადაუდებელი
- ბავშვთა რეანიმაცია
- ბავშვთა ქირურგია
- ყბა-სახის ქირურგია
- ნევროლოგია.

კომპანიის იურიდიული მისამართია წინანდალის ქუჩა 9, ისანი-სამგორის რაიონი, თბილისი, საქართველო.

2 შედგენის საფუძველი

2.1 განცხადება შესაბამისობის თაობაზე

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (ბასსს) მიერ გამოშვებული ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს) შესაბამისად. ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია დაშვებით, რომ კომპანია ოპერირებს ფუნქციონირებადი საწარმოს

პრინციპით. 2019 წელს კომპანიამ მიიღო ახალი სახელმძღვანელო იჯარის აღიარების შესახებ (იხ. შენიშვნა 2.5) ახალი სტანდარტი გამოყენებულია გამარტივებული მეთოდის გამოყენებით, რომლის თანახმადაც, აკუმულირებული ეფექტი 2019 წლის 1 იანვრის მდგომარეობით აღიარებულია, როგორც კორექტირება აკუმულირებულ შედეგებზე. შესაბამისად, კომპანიას არ აქვს ვალდებულება წარმოადგინოს ფინანსური მდგომარეობის სამი წლის შესადარისი ანგარიში.

2.2 შეფასების საფუძველი

ფინანსურ ანგარიშგებაში აქტივები და ვალდებულებები წარდგენილია ისტორიული ღირებულების პრინციპზე დაყრდნობით, გარდა ზოგიერთი ფინანსური ინსტრუმენტისა, რომლებიც წარდგენილია მომავალი ფულადი ნაკადების დღევანდელი დისკონტირებული ღირებულებით.

2.3 საოპერაციო და ანგარიშგების ვალუტა

კომპანიის ფუნქციონალური ვალუტა არის ქართული ლარი, რადგან ეს ვალუტა ყველაზე კარგად ასახავს კომპანიის ეკონომიკურ მდგომარეობას, მის გარშემო არსებულ სიტუაციას და განხორციელებულ გარიგებებს.

ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ლარში, რადგანაც ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ ასეთი წარდგენა უფრო გამოსადეგია ფინანსური ანგარიშგების მომხმარებელთათვის. ანგარიშგებაში წარმოდგენილი ფინანსური მონაცემები დამრგვალებულია უახლოეს ლარამდე.

2.4 შეფასებების და მოსაზრებების გამოყენება

წინამდებარე ანგარიშგების “ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების” შესაბამისად მომზადებისათვის, ხელმძღვანელობამ გააკეთა მთელი რიგი შეფასებები, რომლებიც გავლენას ახდენს ფინანსური ანგარიშგების თარიღისათვის აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებზე, აგრეთვე საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში აღიარებულ შემოსავლებზე და ხარჯებზე. მნიშვნელოვანი სფეროები, რომლებიც შეფასებებისა და განსჯის მნიშვნელოვან ხარისხს მოითხოვს, ასევე ანგარიშგების ნაწილები, სადაც მოსაზრებები და შეფასებები დიდ გავლენას ახდენს ანგარიშგებაზე, წარმოდგენილია მე-16 შენიშვნაში.

2.5 ახალი და შესწორებული სტანდარტების დანერგვა

კომპანიამ მიმდინარე წელს მიიღო ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (“IASB”) მიერ გამოცემული ყველა ახალი და გადახედილი სტანდარტი და საერთაშორისო ფინანსური ანგარიშგების ინტერპრეტირების კომიტეტის (“IFRIC”) მიერ გამოცემული ყველა ინტერპრეტაცია რომელიც ძალაშია 2019 წლის 1 იანვრიდან დაწყებული პერიოდებისათვის და რომელიც შესაბამისობაშია კომპანიის ოპერაციებთან.

ცვლილებების გავლენა განხილულია ქვემოთ.

ახალი და გადახედილი სტანდარტები და ინტერპრეტაციები რომლებიც ძალაშია 2019 წლის 1 იანვარს ან შემდგომ დაწყებული საანგარიშგებო პერიოდებისათვის.

ფასს 9 – ში შეტანილი ცვლილებები: წინასწარი გადახდის მახასიათებლები უარყოფითი კომპენსაციით.

ფასს 9-ის თანახმად, სესხის ინსტრუმენტი შეიძლება შეფასდეს ამორტიზირებული ღირებულებით ან სამართლიანი ღირებულებით სხვა სრული შემოსავლის საშუალებით, იმ პირობით, რომ საკონტრაქტო ფულადი ნაკადები არის “”მხოლოდ ძირითადი და ძირითადი დაუფარავ ნაწილთან დაკავშირებული პროცენტის გადახდა” (SPPI კრიტერიუმში) და ინსტრუმენტი ინახება ამ კლასიფიკაციის შესაბამის ბიზნეს მოდელში. ფასს 9-ში შესწორებები განმარტავს, რომ ფინანსური აქტივი გადის SPPI კრიტერიუმს, მიუხედავად იმ ფაქტისა თუ ვითარებისა, რომელიც იწვევს ხელშეკრულების ადრეულ შეწყვეტას და

იმისდა მიუხედავად, თუ რომელი მხარე გადაიხდის ან მიიღებს გონივრულ კომპენსაციას ხელშეკრულების ვადამდელი შეწყვეტის გამო.

კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაზე ამ ცვლილებას არსებითი გავლენა არ მოუხდენია.

ფასს 16 იჯარა

ფასს 16 იჯარა ანაცვლებს ბასს 17 იჯარას, სამ ინტერპრეტაციასთან ერთად (ფასიკ 4 „როგორ განვსაზღვროთ, შეიცავს თუ არა შეთანხმება იჯარას“, იმკ 15 „საოპერაციო იჯარა - სტიმულირება“ და იმკ 27 „გარიგებების შინაარსის შეფასება, რომელიც შეიცავს იჯარის სამართლებრივ ფორმას“).

ახალი სტანდარტის მიღებამ კომპანიაში გამოიწვია აქტივის გამოყენების უფლებისა და მასთან დაკავშირებული საიჯარო ვალდებულების აღიარება ყველა წინანდელ საოპერაციო იჯარასთან მიმართებაში, გარდა იმ იჯარებისა, რომელთაც აქვთ დაბალი ღირებულება, ან 12 თვეზე ნაკლები დარჩენილი საიჯარო ვადა თავდაპირველი აღიარების თარიღიდან.

ახალი სტანდარტი გამოყენებულ იქნა გამარტივებული მიდგომით. ფასს 16-ის პირველად გამოყენებით გამოწვეული კუმულაციური ეფექტი აღიარებულია კაპიტალში, როგორც მიმდინარე გაუნაწილებელი მოგების საწყისი ნაშთის კორექტირება, სტანდარტის თავდაპირველი. კომპანიის მიერ წინა პერიოდში წარდგენილი ფინანსური ინფორმაცია არ დაკორექტირებულა.

სტანდარტის თავდაპირველი გამოყენების თარიღისთვის გაფორმებული კონტრაქტებისთვის, კომპანიამ გადაწყვიტა, გამოყენებინა იჯარის განსაზღვრება ბასს 17-ისა და ფასიკ 4-ის მიხედვით და არ გამოყენებინა ფასს 16 იმ გარიგებებისთვის, რომლებიც თავდაპირველად არ იყო აღიარებული, როგორც იჯარა ბასს 17-ისა და ფასიკ 4-ის მიხედვით.

კომპანიამ გადაწყვიტა არ ჩაერთო თავდაპირველი პირდაპირი დანახარჯები იმ აქტივების გამოყენების უფლების შეფასებაში, რომლებსაც კომპანია ფლობს მოკლევადიანი იჯარისთვის ფასს 16-ის გამოყენების დაწყების თარიღისთვის - 2019 წლის 1-ლი იანვრისთვის. ამ თარიღისთვის, კომპანიამ ასევე აირჩია აქტივების გამოყენების უფლების შეფასება საიჯარო ვალდებულების ტოლი ოდენობით, დაკორექტირებული წინასწარ გადახდილი, ან დარიცხული საიჯარო გადასახდელებით, რომლებიც არსებობდა ოპერაციის თარიღისთვის.

აქტივის გამოყენების უფლებაზე გაუფასურების ტესტირების ნაცვლად, სტანდარტის პირველადი გამოყენების თარიღისთვის, კომპანია დაეყრდნო თავის ისტორიულ შეფასებებს, ჰქონდა თუ არა იჯარას მნიშვნელოვანი გავლენა ფასს 16-ის პირველადი გამოყენების თარიღამდე.

ახალ სტანდარტზე გადასვლის მომენტისთვის, იჯარებისთვის, რომლებიც მანამდე აღრიცხული იყო, როგორც საოპერაციო იჯარა 12 თვეზე ნაკლები საიჯარო ვადითა და დაბალი ღირებულებით, კომპანიამ გამოიყენა არჩევითი გამონაკლისები არ ეღიარებინათ აქტივის გამოყენების უფლება, არამედ აღერიცხა ისინი საიჯარო ხარჯად წრფივი მეთოდით, დარჩენილ საიჯარო პერიოდზე.

ფასს 16-ზე გადასვლისას, საშუალო შეწონილი ზღვრული სასესხო განაკვეთი ფასს 16-ით განსაზღვრულ საიჯარო ვალდებულებებთან მიმართებაში შეადგენდა 10.3%-ს.

საიჯარო ვადის განსაზღვრისას, იჯარის გაგრძელების და შეწყვეტის შესახებ გადაწყვეტილების მიღებისას, კომპანიამ იხელმძღვანელა არსებული ფაქტებით და გარემოებებით.

ფასიკ 23 განუსაზღვრელობა მოგების გადასახადის გამოყენებასთან დაკავშირებით

ფასიკ 23 იძლევა მითითებებს იმის შესახებ, თუ როგორ აისახება განუსაზღვრელობა ბასს 12-ის შესაბამისად, კონკრეტულად (i) განუსაზღვრელი საგადასახადო მიდგომა ცალკე უნდა განიხილებოდეს, (ii) საგადასახადო ორგანოების ვარაუდები, (iii) განსაზღვრა დასაბეგრი მოგების (ზარალის), საგადასახადო ზაზა, გამოყენებული საგადასახადო ზარალის, გამოყენებული საგადასახადო ვალის და საგადასახადო განაკვეთების, (iv) და ამ ცვლილებების ფაქტიური ეფექტები და გარემოებები.

ყოველწლიური გაუმჯობესებები 2015-2017

2015-2017 წლების ყოველწლიურმა გაუმჯობესებებმა რამდენიმე მცირე ცვლილება შეიტანეს ფასს სტანდარტებში. კომპანიისთვის რელევანტური ცვლილებები შეჯამებულია ქვემოთ:

ბასს 12 მოგების გადასახადი: მოგების გადასახადი დაკავშირებული კაპიტალის ელემენტებთან

ბასს 12-ში შეტანილი შესწორებები განმარტავს, რომ დივიდენდების დაბეგვრას მოგების გადასახადით, სხვა მთლიანი შემოსავლის ან სააქციო კაპიტალის მიხედვით, როცა საწყის ეტაპზე პირველად იქნა აღიარებული ეს უკანასკნელი გარიგებები ან მოვლენები

ბასს 23 ნასესხებ სახსრებთან დაკავშირებული დანახარჯები: კაპიტალიზაციისთვის განსაზღვრული ნასესხებ სახსრებთან დაკავშირებული დანახარჯები

ბასს 23.14 ადგენს, თუ როგორ უნდა განსაზღვროთ ნასესხებ სახსრებთან დაკავშირებული დანახარჯების კაპიტალიზაციისთვის განსაზღვრული ოდენობა, როცა კომპანია იღებს საერთო დანიშნულების სესხს და იყენებს მას განსაკუთრებული აქტივის შესაძენად.

ბასს 23 მოითხოვს, რომ კომპანიამ საერთო დანიშნულების მქონე სესხის აღებისას, გამოყოფოს სესხების ის ნაწილი, რომელიც განსაზღვრულია განსაკუთრებული აქტივის შესაძენად. ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს დაკვირვებით, კომპანიებმა შესაძლოა ეს სიტყვები გამოიყენონ არასწორი მნიშვნელობით, რომ საერთო მიზნებისთვის ნასესხები სახსრებისგან უნდა გამოიყოს ის გადასახდელი თანხები, რომლებიც თავდაპირველად ნასესხები იყო განსაკუთრებული აქტივის შესაძენად და რომელიც ახლა უკვე მზად არის მის დანიშნულებისამებრ გამოსაყენებლად ან გასაყიდად

ამგვარად, შესწორებები აზუსტებს, რომ როცა განსაკუთრებული აქტივი უკვე მზად არის მის დანიშნულებისამებრ გამოსაყენებლად ან გასაყიდად, კომპანია განიხილავს თავდაპირველად კონკრეტულად ამ აქტივის შესაძენად ნასესხები თანხის დარჩენილ ნაწილს იმ სესხის ნაწილად, რომელიც მან აიღო საერთო დანიშნულებით.

ცვლილებები გამყენებულია პერსპექტიულად (ე.ი. მხოლოდ ამ შესწორების ძალაში შესვლის წლიური საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში, ან მის შემდგომ გაწეულ ნასესხებ სახსრებთან დაკავშირებულ დანახარჯებზე) ვინაიდან, ნასესხებ სახსრებთან დაკავშირებული დანახარჯების რეტროსპექტიულად კაპიტალიზაციის მიზნით ინფორმაციის მოპოვების დანახარჯები, შესაძლოა აღემატებოდეს პოტენციურ სარგებელს.

არსებული სტანდარტები, ცვლილებები და ინტერპრეტაციები არსებულ სტანდარტებზე, რომლებიც ჯერ არ არის ეფექტური და ჯერ არ მიუღია კომპანიას

ამ ფინანსური ანგარიშგების ხელმოწერის თარიღისთვის, ბასს-ის მიერ, გამოქვეყნებული იყო გარკვეული ახალი სტანდარტები, არსებული სტანდარტების შესწორებები და ინტერპრეტაციები, მაგრამ ჯერჯერობით ისინი არ არის ეფექტური და კომპანიას ისინი ჯერ არ მიუღია.

ხელმძღვანელობა ვარაუდობს, რომ ყველა შესაბამისი განცხადება მიიღება კომპანიის სააღრიცხვო პოლიტიკაში პირველივე პერიოდისათვის, რომელიც იწყება გამოცხადების ძალაში შესვლის თარიღიდან ან მას შემდეგ. ახალი სტანდარტები, არსებული სტანდარტების შესწორებები და ინტერპრეტაციები, რომლებიც არ იქნა ათვისებული მიმდინარე წელს, არ არის განხილული, ვინაიდან მოსალოდნელი არ არის, რომ მათ ექნებათ არსებითი გავლენა კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაზე.

3 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა

3.1 უცხოური ვალუტა

ოპერაციები უცხოურ ვალუტაში

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას უცხოურ ვალუტაში დენომინირებული ტრანზაქციები საანგარიშგებო ვალუტაში გადაიყვანება ტრანზაქციების განხორციელების დღეს საქართველოს ეროვნული ზანკის მიერ დადგენილი გაცვლითი კურსის მიხედვით. ბალანსის თარიღისთვის, უცხოურ ვალუტაში დენომინირებული ფულადი მუხლები გადანაგარიშებულია ამავე თარიღისთვის არსებული ეროვნული ზანკის მიერ გამოცხადებული კურსით, რომელიც 2019 წლის 31 დეკემბერს ერთი ამერიკული დოლარისთვის შეადგენს 2.8677 ლარს ხოლო 1 ევროსთვის 3.2095 ლარს (2018 წლის 31 დეკემბერი: ერთი ამერიკული დოლარი 2.6766 ლარი და 3.0701 ევრო). არაფულადი მუხლები არ გადანაგარიშდება პერიოდის ბოლო კურსით და აღირიცხება ისტორიული ღირებულების საფუძველზე (აღირიცხებაოპერაციის განხორციელების დღეს არსებული კურსით), გარდა სამართლიანი ღირებულებით

წარდგენილი არაფულადი მუხლებისა, რომლებიც ლარში გადაყვანილია მათი სამართლიანი ღირებულების შეფასების დღის შესაბამისი კურსით.

ვალუტის გადანაგარიშებით გამოწვეული საკურსო სხვაობა აისახება მოგება-ზარალის ანგარიშში.

3.2 ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები წარმოდგენილია დაგროვილი ცვეთისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალით (ასეთის არსებობის შემთხვევაში) შემცირებული თვითღირებულებით. თვითღირებულება მოიცავს შესყიდვის ფასს, საიმპორტო გადასახადებს, სხვა არადაბრუნებად გადასახადებსა და შემენასთან პირდაპირ დაკავშირებულ სხვა ხარჯებს. როცა ძირითადი საშუალება შედგება რამოდენიმე არსებითი კომპონენტისაგან, რომლებსაც სხვადასხვა სასარგებლო მომსახურების ვადები აქვთ, მაშინ ასეთი კომპონენტები აღირიცხება ცალკე-ცალკე ძირითად საშუალებებად.

აქტივის გაყიდვიდან ან ჩამოწრიდან მიღებული მოგება ან ზარალი, რომელიც წარმოადგენს სხვაობას მიღებული ანაზღაურების ღირებულებასა და აქტივის საბალანსო ღირებულებას შორის, აღიარდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

ცალკე ერთეულად აღრიცხული ძირითადი საშუალების კომპონენტის ჩანაცვლებასთან დაკავშირებული ხარჯები კაპიტალიზირდება იმ კომპონენტის საბალანსო ღირებულებასთან ერთად, რომელიც ჩამოწერილი იქნა. სხვა დანახარჯები კაპიტალიზირდება იმ შემთხვევაში, თუ შესაძლებელია ეკონომიკური სარგებლის მიღება მომავალში. ყველა სხვა ხარჯი, მათ შორის აქტივის რემონტის დანახარჯები, აღიარდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში მისი გაწევისთანავე.

ცვეთის დარიცხვა ხდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში წრფივი მეთოდის გამოყენებით, თითოეული აქტივის სასიცოცხლო პერიოდის განმავლობაში. ცვეთის დარიცხვა იწყება მაშინ, როდესაც აქტივი მზადაა გამოსაყენებლად. აქტივების სასიცოცხლო პერიოდები ჯგუფების მიხედვით შემდეგნაირია:

სამედიცინო აღჭურვილობა და დანადგარები - 5 - 20 წელი

ავეჯი და საოფისე აღჭურვილობა - 2 - 10 წელი

3.3 არამატერიალური აქტივები

შემენილი არამატერიალური აქტივები, რომელთაც აქვთ განსაზღვრული სასარგებლო მომსახურების ვადა, ბალანსში წარდგენილია აკუმულირებული ამორტიზაციისა და აკუმულირებული გაუფასურების ზარალის თანხით შემცირებული თვითღირებულებით.

ლიცენზიებზე და პროგრამულ უზრუნველყოფაზე ამორტიზაციის დარიცხვა ხდება წრფივი მეთოდით 7 წლის განმავლობაში და ამორტიზაცია აღიარდება ხარჯად მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

3.4 ძირითადი საშუალებების და არამატერიალური აქტივების გაუფასურება

განუსაზღვრელი სასიცოცხლო ვადის მქონე აქტივების ამორტიზაცია არ ხდება და ისინი ყოველწლიურად მოწმდება შესაძლო გაუფასურების დადგენის მიზნით. ამორტიზებადი აქტივების გაუფასურების ტესტირება ხდება, როდესაც რაიმე მოვლენები ან ცვლილებები გარემოებებში მიუთითებს, რომ აქტივის საბალანსო ღირებულება შესაძლოა მის აღდგენით ღირებულებაზე მეტი იყოს. როცა აქტივის საბალანსო ღირებულება აჭარბებს მის აღდგენით ღირებულებას, მაშინ დაუყოვნებლივ აღიარდება გაუფასურების ზარალი, რომელიც ტოლია იმ თანხის, რომლითაც აქტივის საბალანსო ღირებულება აღემატებოდა მის აღდგენით ღირებულებას.

აქტივის აღდგენითი ღირებულება არის მის გამოყენების ღირებულებასა და წმინდა გასაყიდ ფასს შორის უდიდესი. თუ აქტივის (ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის) აღდგენითი ღირებულება მის საბალანსო ღირებულებაზე ნაკლებია, მაშინ აქტივის (ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის) საბალანსო ღირებულება მცირდება მის ანაზღაურებად ღირებულებამდე. გაუფასურების ზარალის ხარჯად აღიარება ხდება დაუყოვნებლივ, გარდა იმ შემთხვევისა, როცა აქტივი აღრიცხულია გადაფასებული ღირებულებით, რა შემთხვევაშიც გაუფასურების ზარალი ისევე აღირიცხება, როგორც გადაფასებული ღირებულების შემცირება.

იმ შემთხვევაში, როცა ხდება გაუფასურების ზარალის აღდგენა, აქტივის საბალანსო ღირებულება იზრდება მის გადახდილ აღდგენით ღირებულებამდე, მაგრამ ისე, რომ გაზრდილი საბალანსო ღირებულება არ უნდა აღემატებოდეს საბალანსო ღირებულებას, რომელიც აქტივს ექნებოდა, რომ არ მომხდარიყო წინა პერიოდში მისი გაუფასურება. გაუფასურების აღდგენა დაუყოვნებლივ აღიარდება შემოსავალში, თუკი ეს აქტივი არ არის აღრიცხული გადაფასებული ღირებულებით, რა შემთხვევაშიც ნებისმიერი გაუფასურების ზარალის აღდგენა აღიარდება, როგორც გადაფასებული ღირებულების ზრდა.

3.5 იჯარა

როგორც აღწერილია შენიშვნა **Error! Reference source not found.**-ში, კომპანიამ გამოიყენა ფასს 16-ის გამარტივებული მიდგომა, შესაბამისად, შესადარისი ინფორმაცია ხელახლა არ შეფასებულა. რაც გულისხმობს იმას, რომ შესადარისი ინფორმაცია კვლავ ბასს 17-ისა და ფასიკ 4 შესაბამისადაა წარდგენილი.

საღირებეო პოლიტიკა, რომელიც მოქმედებს 2019 წლის 1 იანვრიდან

კომპანია, როგორც მოიჯარე

წლის 1 იანვრის ან მას შემდეგ დადებული ნებისმიერი ახალი კონტრაქტისთვის, კომპანია განიხილავს მთლიანად ხელშეკრულება არის თუ არა იჯარა, ან შეიცავს თუ არა იჯარას. იჯარა განისაზღვრება, როგორც "ხელშეკრულება, ან ხელშეკრულების ნაწილი, რომელიც ითვალისწინებს აქტივის კონტროლის უფლების გადაცემას გარკვეული პერიოდის განმავლობაში, ანაზღაურების მიღების სანაცვლოდ. ამ განსაზღვრების გამოსაყენებლად, კომპანია აფასებს აკმაყოფილებს თუ არა ხელშეკრულება სამ მთავარ შეფასების კრიტერიუმს:

- შეიცავს თუ არა კონტრაქტი იდენტიფიცირებად აქტივს, რომელიც პირდაპირ არის განსაზღვრული ხელშეკრულებაში, ან არაპირდაპირი გზით ხდება აქტივის იდენტიფიცირება იმ მომენტში, როდესაც აქტივი გამოსაყენებლად ხელმისაწვდომი ხდება კომპანიისთვის.
- აქვს თუ არა კომპანიას ხელშეკრულებაში იდენტიფიცირებული აქტივიდან მთლიანი ეკონომიკური სარგებლის მიღების უფლება აქტივის გამოყენების პერიოდის განმავლობაში, ხელშეკრულებით განსაზღვრული უფლებების ფარგლებში.
- კომპანიას უფლება აქვს იდენტიფიცირებადი აქტივი გამოიყენოს მთელი პერიოდის განმავლობაში. კომპანია აფასებს აქვს თუ არა მას უფლება, პირდაპირ გამოიყენოს „როგორ და რა მიზნით“ იქნა აქტივი გამოყენებული პერიოდის განმავლობაში.

იჯარის აღიარება და შეფასება

იჯარის დაწყების თარიღისათვის კომპანია აღიარებს აქტივების გამოყენების უფლებასა და საიჯარო ვალდებულებას ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში..

აქტივის გამოყენების უფლება განისაზღვრება თვითღირებულებით, რომელიც მოიცავს საიჯარო ვალდებულების თავდაპირველ შეფასებას, კომპანიის მიერ გაწეულ თავდაპირველ პირდაპირ დანახარჯებს, იჯარის ბოლოს აქტივის დემონტაჟისა და ლიკვიდაციისთვის საჭირო შეფასებით ხარჯებს და იჯარის დაწყების თარიღისთვის გადახდილ ავანსებს (ყველა მიღებული წამახალისებელი გადახდების გამოკლებით) კომპანია, აქტივების გამოყენების უფლებებისთვის, იყენებს ცვეთის წრფივ მეთოდს იჯარის დაწყების თარიღიდან შემდეგ ორ თარიღს შორის უფრო ადრინდელ თარიღამდე: აქტივის გამოყენების უფლების სასარგებლო მომსახურების ვადის დასრულებისა და იჯარის ვადის დასრულების თარიღი. კომპანია ასევე აფასებს აქტივის გამოყენების უფლების გაუფასურებას, როდესაც ასეთი ინდიკატორი არსებობს.

იჯარის ვადის დაწყების თარიღისთვის, კომპანია საიჯარო ვალდებულებას აფასებს იმ საიჯარო გადახდების დღევანდელი ღირებულების მიხედვით, რომლებიც ამ თარიღისთვის განხორციელებული არ არის. საიჯარო გადახდების დისკონტირება ხორციელდება იჯარაში ნაგულისხმევი საპროცენტო განაკვეთით, თუ ამ განაკვეთის განსაზღვრა ადვილად შეიძლება, ან კომპანიის ზღვრული სასესხო განაკვეთის საშუალებით.

საიჯარო გადახდები, რომლებიც გაითვალისწინება საიჯარო ვალდებულების შეფასებაში, მოიცავს ფიქსირებულ გადახდებს (მათ შორის, არსებითად ფიქსირებულ გადახდებს), ინდექსზე ან განაკვეთზე დამოკიდებულ ცვლად საიჯარო გადახდებს, თანხებს, რომლებსაც მოსალოდნელია, რომ მოიჯარე გადაიხდის ნარჩენი ღირებულების გარანტიების მიხედვით და უფლებებით წარმოშობილ გადახდებს, თუ საკმარისად სარწმუნოა, რომ მოიჯარე ამ უფლებას გამოიყენებს.

იჯარის ვადის დაწყების თარიღის შემდეგ მოიჯარემ საიჯარო ვალდებულება უნდა შეამციროს განხორციელებული საიჯარო გადახდებით და გაზარდოს საიჯარო ვალდებულებასთან დაკავშირებული

პროცენტით. საიჯარო ვალდებულების შეფასება ხდება ხელახლა, რათა აისახოს ხელახალი შეფასების შედეგი, ან იჯარის მოდიფიკაციები, ან გადასინჯული არსებითად ფიქსირებული საიჯარო გადახდები.

საიჯარო ვალდებულების ხელახალი შეფასების შემდეგ, შესაბამისი კორექტირება აისახება აქტივის გამოყენების უფლებაზე ან მოგება-ზარალის ანგარიშგებაში, თუ აქტივის გამოყენების უფლების საბალანსო ღირებულება ნულია.

კომპანიამ გადაწყვიტა მოკლევადიანი და დაბალი ღირებულების მქონე აქტივების იჯარა აღრიცხოს პრაქტიკული ხასიათის გამარტივებული მიდგომის გამოყენებით. აქტივის გამოყენების უფლებისა და საიჯარო ვალდებულების აღიარების ნაცვლად, იჯარასთან დაკავშირებული გადახდები აღიარდება ხარჯად მოგება-ზარალის ანგარიშგებაში წრფივი მეთოდით, იჯარის პერიოდის განმავლობაში.

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში აქტივების გაოყენების უფლება წარმოდგენილია განცალკევებით, ვინაიდან საიჯარო ვალდებულებაც წარდგენილია ცალკე.

სააღრიცხვო პოლიტიკა, რომელიც ძალაშია 2019 წლის 1 იანვრამდე

კომპანია, როგორც მოიჯარე

ფინანსური იჯარა

ხელმძღვანელობა იყენებს მსჯელობას საიჯარო ხელშეკრულების არსის განხილვისას და გადასცემს თუ არა იგი საიჯარო აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებული პრაქტიკულად ყველა რისკსა და სარგებელს. განხილული ძირითადი ფაქტორები მოიცავს საიჯარო პერიოდის ხანგრძლივობას აქტივის ეკონომიკურ მომსახურების ვადასთან მიმართებაში, მინიმალური საიჯარო გადასახდელების ახლანდელ ღირებულებას აქტივის სამართლიან ღირებულებასთან მიმართებაში და გადადის თუ არა მფლობელობა კომპანიაზე იჯარის ვადის ამოწურვის შემდეგ.

როდესაც იჯარა მოიცავს მიწას და შენობა-ნაგებობებს, იჯარის მინიმალური გადასახადები პირველად გამოიყოფა თითოეულ კომპონენტზე შესაბამისი საიჯარო პროცენტის სამართლიანი ღირებულების საფუძველზე. შემდეგ, თითოეული კომპონენტი ფასდება ცალ-ცალკე, როგორც განსაზღვრული ფაქტორი, მიეკუთვნება თუ არა იგი ფინანსური იჯარის ნაწილს, იმის გათვალისწინებით, რომ მიწას, როგორც წესი, განუსაზღვრელი ეკონომიკური მომსახურების ვადა აქვს.

ფინანსური იჯარით ფლობილი აქტივების ცვეთის მეთოდებისა და სასარგებლო მომსახურების ვადების შესახებ ინფორმაციისთვის იხილეთ შენიშვნა 3.5.

საიჯარო გადახდების საპროცენტო ელემენტი ხდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში, როგორც ფინანსური ხარჯები იჯარის ვადის განმავლობაში.

საოპერაციო იჯარა

ყველა სხვა იჯარა განიხილება როგორც საოპერაციო იჯარა. თუ კომპანია მოიჯარე, გადახდები საოპერაციო იჯარაზე აღიარდება, როგორც ხარჯი, წრფივი მეთოდით, იჯარის პერიოდის განმავლობაში. მასთან დაკავშირებული ხარჯები, როგორებიცაა მომსახურებისა და დაზღვევის, აღიარდება პერიოდის ხარჯებად.

3.6 სასაქონლო მატერიალური მარაგები

სასაქონლო მატერიალური მარაგები არის აქტივები რომლებიც განკუთვნილია მომხმარებელზე გასაყიდად, წარმოების პროცესში გამოსაყენებლად ან მომხმარებლისთვის მომსახურების გასაწევად. სასაქონლო მატერიალური მარაგები ასევე მოიცავს სათადარიგო ნაწილებს, სარეზერვო ტექნიკასა და მომსახურების გასაწევ ტექნიკას თუ ისინი არ შეესაბამებიან ძირითადი საშუალებების განმარტებას.

სასაქონლო მატერიალური მარაგები წარმოდგენილია საბალანსო ღირებულებასა და წმინდა სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესი თანხით. წმინდა სარეალიზაციო ღირებულება ჩვეულებრივი საქმიანობის პროცესში პროდუქციის დასრულებისა და რეალიზაციისათვის საჭირო დანახარჯებით შემცირებული სავარაუდო გასაყიდი ფასია. სასაქონლო მატერიალური მარაგების ღირებულება გამოითვლება საშუალო შეწონილი მეთოდით და შეიცავს დანახარჯებს, რომელიც დაკავშირებულია აქტივის შეძენასთან და მის ადგილზე მიტანასთან.

3.7 ფინანსური ინსტრუმენტები

აღიარება, შეფასება და აღიარების შეწყვეტა

ფინანსური აქტივი და ფინანსური ვალდებულება აღიარდება, მას შემდეგ, რაც კომპანია ხდება ფინანსური ინსტრუმენტების შესახებ სახელშეკრულებო ურთიერთობის მონაწილე.

ფინანსური აქტივების აღიარება წყდება როდესაც ფინანსური სარგებლის მიღების სახელშეკრულებო უფლება ამოიწურება, ან, როდესაც ფინანსური აქტივი და მასთან დაკავშირებული რისკის მნიშვნელოვანი წილი გადადის სხვა მხარეზე.

ფინანსური ვალდებულების აღიარება წყდება მას შემდეგ, რაც მისი სასიცოცხლო ვადა ამოიწურა ან გაუქმდა.

ფინანსური აქტივების კლასიფიკაცია და შესაბამისი შეფასება

გარდა იმ სავაჭრო მოთხოვნებისა, რომლებიც არ შეიცავენ მნიშვნელოვან ფინანსურ კომპონენტს და ფასს 15-ის თანახმად აღიარებული არიან ტრანზაქციის ფასით, ყველა ფინანსური აქტივი თავდაპირველად სამართლიანი ღირებულებით ფასდება, რომელიც ითვალისწინებს ტრანზაქციის დანახარჯებსაც (სადაც გამოყენებადია).

შეფასების მიზნებისათვის ფინანსური აქტივები, გარდა ჰეჯირების ინსტრუმენტებისა, დაყოფილია შემდეგ კატეგორიებად:

- ამორტიზირებული ღირებულებით აღრიცხული
- სამართლიანი ღირებულებით აღრიცხული, სამართლიანი ღირებულების ცვლილების მოგება-ზარალში ასახვით (FVTPL)
- სამართლიანი ღირებულებით აღრიცხული, სამართლიანი ღირებულების ცვლილების სხვა სრულ შემოსავლებში ასახვით (FVOCI).

საანგარიშგებო პერიოდში კომპანიას არ ქონია არცერთი ფინანსური აქტივი რომელიც შეფასებული იქნებოდა სამართლიანი ღირებულებით, სამართლიანი ღირებულების ცვლილების მოგება-ზარალში ან სხვა სრულ შემოსავლებში ასახვით (FVTPL) საანგარიშგებო პერიოდში კომპანიას არ ქონია არცერთი ფინანსური აქტივი რომელიც შეფასებული იქნებოდა სამართლიანი ღირებულებით, სამართლიანი ღირებულების ცვლილების მოგება-ზარალში ან სხვა სრულ შემოსავლებში ასახვით (FVOCI).

კლასიფიკაცია განისაზღვრება ორივე შემდეგი საკითხის გათვალისწინების საფუძველზე:

- ფინანსური აქტივების მართვისთვის კომპანიის მიერ გამოყენებული ბიზნეს მოდელი
- ფინანსური აქტივიდან, შესაბამისი ხელშეკრულების საფუძველზე, მისაღები ფულადი ნაკადების მახასიათებლები

ფინანსურ აქტივებთან დაკავშირებული ყველა მოგება ან ზარალი, რომლებიც აღიარებულია მოგება-ზარალში, ჩართულია ფინანსურ ხარჯებში, ფინანსურ შემოსავალში ან სხვა ფინანსურ პუნქტებში, გარდა სავაჭრო მოთხოვნების გაუფასურების ხარაჯისა, რომელიც წარმოდგენილია სხვა ხარჯებში. კომპანიის ფინანსური აქტივები კატეგორიების მიხედვით წარმოდგენილია მე-17.2 შენიშვნაში.

ფინანსური აქტივების შემდგომი შეფასება

ფინანსური აქტივების ამორტიზირებული ღირებულებით შეფასება

ფინანსური აქტივები შეფასებულია ამორტიზირებული ღირებულებით თუ აკმაყოფილებს შემდეგ კრიტერიუმებს (და არ არის აღნიშნული როგორც FVTPL)

- კომპანია ფლობს ფინანსურ აქტივებს ისეთი ბიზნეს მოდელის პირობებში, რომლის მიზანია ფინანსური აქტივების ფლობა სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მიღების მიზნით;
- ფინანსური აქტივის სახელშეკრულებო პირობები კონკრეტულ თარიღებს ადგენს ისეთი ფულადი ნაკადების მიღებისთვის, რომლებიც წარმოადგენს მხოლოდ ძირითადი თანხისა და ძირითადი თანხის დაუფარავ ნაწილთან დაკავშირებული პროცენტის გადახდას.

ფინანსური აქტივები თავდაპირველი აღიარებისას შეფასებულია ამორტიზირებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით. დისკონტირება არ არის გათვალისწინებული, სადაც დისკონტირებას არამატერიალური ეფექტი აქვს. კომპანიის ფული და ფულის ექვივალენტები, სავაჭრო და სხვა მოთხოვნები ფინანსური ინსტრუმენტების ამ კატეგორიას მიეკუთვნება, აგრეთვე ბირჟაზე დარეგისტრირებული ობლიგაციები, რომლებიც აქამდე დარეგისტრირებული იყო როგორც დაფარვის ვადამდე (HTM) ბაზს 39-ის მიხედვით.

ფინანსური აქტივები შეფასება რეალური ღირებულებით მოგება-ზარალში ასახვით (FVTPL)

ფინანსური აქტივები, რომლებსაც კომპანია ფლობს არა ისეთ ბიზნესმოდელში რომლის მიაზნია, რომ კომპანიამ მიიღოს სახელშეკრულებო ფულადი ნაკადები (hold to collect), კატეგორიზდება „რეალური ღირებულებით წარდგენილ ფინანსურ აქტივებად, რომელთა რეალური ღირებულების ცვლილება მოგება-ზარალში აისახება“ (FVTPL). გარდა ამისა, განურჩევლად ბიზნეს მოდელისა, ფინანსური აქტივები, რომელთა სახელშეკრულებო ფულადი ნაკადები არ არის მხოლოდ ძირისა და პროცენტის გადახდები, აღირიცხება რეალური ღირებულებით მოგება-ზარალის ანგარიშგებაში (FVTPL). ყველა წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტი მიეკუთვნება ამ კატეგორიას, გარდა იმ ინსტრუმენტებისა, რომლებიც გათვალისწინებულია და ეფექტურია, როგორც ჰეჯირების ინსტრუმენტები, რომელთათვისაც გამოიყენება ჰეჯირების აღრიცხვის მოთხოვნები.

ამ კატეგორიაში ასევე ჩაირთვება ინვესტიციები სხვა საწარმოთა კაპიტალში. კომპანია ასეთ ინვესტიციას აღრიცხავს FVTPL-ში და არ გააკეთა შეუქცევადი არჩევანი, რომ კოტირებული ფასიანი ქაღალდები აღერიცხა რეალური ღირებულებით, რომელთა რეალური ღირებულების ცვლილება სხვა სრულ შემოსავლებში აისახებოდა (FVOCI). შესადარის პერიოდში ინვესტიცია სხვა საწარმოთა საკუთარ კაპიტალში იზომებოდა თვითღირებულებით, რაც მცირდებოდა გაუფასურების ზარალით, რადგან მიჩნეული იყო, რომ მისი სამართლიანი ღირებულების განსაზღვრა პრაქტიკულად შეუძლებელი იყო. მიმდინარე ფინანსურ წელს, რეალური ღირებულება განისაზღვრა ფასს 9-ის მოთხოვნების შესაბამისად, რომელიც არ იძლევა ამ აქტივის თვითღირებულებით წარდგენის უფლებას.

ამ კატეგორიის აქტივები იზომება სამართლიანი ღირებულებით, და მათი სამართლიანი ღირებულების ცვლილებები აისახება მოგება-ზარალში. ამ კატეგორიის ფინანსური აქტივების რეალური ღირებულება განისაზღვრება აქტიური საბაზრო გარიგებების გათვალისწინებით, ან შეფასების ტექნიკის გამოყენებით, სადაც არ არსებობს აქტიური ბაზარი.

ფინანსური აქტივების გაუფასურება

ფასს 9-ის მოთხოვნები იყენებს უფრო მეტად საპროგნოზო ინფორმაციას მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის აღიარებისას – „მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის მოდელი“. ეს ანაცლებს ბასს 39-ის „განცდილი ზარალის მოდელი“. ახალ არეალში მოქცეული ინსტრუმენტები, რომლებიც მოიცავს სესხებს და სხვა სავალო ტიპის ფინანსურ აქტივებს შეფასებულს ამორტიზებულ ხარჯად და FVOCI, სავაჭრო მოთხოვნები, სახელშეკრულებო აქტივები აღიარებული და შეფასებული ფასს 15-ის მიხედვით და სესხის გაცემის ვალდებულება და ფინანსური გარანტიის ხელშეკრულებები (ემიტენტისთვის), რომლებიც არ არიან შეფასებული რეალური ღირებულებით მოგებაში ან ზარალში ასახვით.

საკრედიტო ზარალის აღიარება აღარ არის დამოკიდებული კომპანიის საკრედიტო ზარალის პირველად აღმოჩენის შემთხვევაზე. ამის მაგივრად კომპანია განიხილავს უფრო ფართო არეალის ინფორმაციას, როდესაც აფასებს საკრედიტო რისკს და მოსალოდნელ საკრედიტო ზარალს, ეს ინფორმაცია მოიცავს, წარსულ შემთხვევებს, მიმდინარე პირობებს, მართებულ და მისაღებ პროგნოზს, რომელსაც გავლენა აქვს ფინანსური აქტივის მომავალი ფულადი ნაკადების მოსალოდნელ შეგროვებადობაზე.

ამ საპროგნოზო მიდგომის დანერგვისას, გამოიყენა ხდება:

- ფინანსურ აქტივებს შორის, რომლებიც საკრედიტო ხარისხის მიხედვით საგრძნობლად არ გაუარესებულა საწყისი აღიარების შემდგომ ან აქვს დაბალი საკრედიტო რისკი (ფაზა1), და
- ფინანსურ აქტივებს შორის, რომლებიც საგრძნობლად გაუარესდნენ კრედიტის ხარისხის მიხედვით საწყისი აღიარების შემდგომ და მათი საკრედიტო რისკი არ არის დაბალი (ფაზა 2)

ფაზა 3 მოიცავს ფინანსურ აქტივებს, რომლებსაც აქვს გაუფასურების ობიექტური მტკიცებულება საანგარიშგებო თარიღისთვის.

„12 თვიანი საკრედიტო ზარალი“ აღიარებულია პირველი კატეგორიით, ხოლო „ფინანსური ინსტრუმენტის არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი“ მეორე კატეგორიით.

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის აღიარება განსაზღვრულია ალბათობებით შეწონილი საკრედიტო ზარალის შეფასებით ფინანსური ინსტრუმენტის მოსალოდნელი არსებობის მანძილზე.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

კომპანია იყენებს გამარტივებული მიდგომას სავაჭრო და სხვა მოთხოვნების ანგარიშგების დროს და აღრიცხავს ზარალის რეზერვის თანხას, როგორც ფინანსური ინსტრუმენტის არსებობის მანძილზე მოსალოდნელ საკრედიტო ზარალად. ეს არის მოსალოდნელი დეფიციტი სახელშეკრულებო ფულად ნაკადებში, რომელიც ითვლისწინებს პოტენციურ ვალდებულების შეუსრულებლობას ფინანსური აქტივის

არსებობისას ნებისმიერ დროს. ანგარიშის დროს, კომპანია იყენებს თავის ისტორიულ გამოცდილებას, გარე ფაქტორებს და საპროგნოზო ინფორმაციას მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის ანგარიშის დროს.

კომპანია აფასებს სავაჭრო მოთხოვნების გაუფასურებას კოლექტიურ საფუძველზე რადგანაც ფლობენ საერთო საკრედიტო რისკის მახასიათებლებს დაჯგუფებულები არიან გადაცილებული ვადის მიხედვით. იხილეთ შენიშვნა 6 დეტალური ანალიზისთვის თუ როგორ არის ფასს 9-ის დანერგვა გამოყენებული გაუფასურების მოთხოვნებში.

ფინანსური ვალდებულებების კლასიფიკაცია და შეფასება

ფინანსური ვალდებულებები მოიცავს სესხებს, სავაჭრო და სხვა ვალდებულებებს და საიჯარო ვალდებულებებს. ფინანსური ვალდებულებების შეჯამება კატეგორიების მიხედვით წარმოდგენილია 17.2-ე შენიშვნაში.

სასესხო ვალდებულებები

სესხები აღიარებულია თავდაპირველად რეალური ღირებულებით, გამოკლებული სესხთან დაკავშირებული გაცემის ხარჯებით. სამართლიან და ნომინალურ ღირებულებებს შორის სხვაობა აღიარებულია მოგება-ზარალში, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა სესხის აღება ხდება მესაკუთრისგან. ამ შემთხვევაში განსხვავება სამართლიან და ნომინალურ ღირებულებას შორის აღიარდება კაპიტალში, როგორც კონტრიბუცია კაპიტალში. თავდაპირველი აღიარების შემდეგ, სესხების ოდენობა განისაზღვრება ამორტიზირებული ღირებულებით ნებისმიერი სხვაობა ღირებულებასა და გამოსყიდვის ღირებულებას შორის აღიარდება მოგება-ზარალში, პერიოდის ეფექტური საპროცენტო განაკვეთის საფუძველზე. პროცენტები და სხვა ხარჯები დაკავშირებულია სესხებთან არის ფინანსური ხარჯის ნაწილი, გარდა ხარჯებისა, რომლებიც პირდაპირ დაკავშირებულია განსაკუთრებული აქტივის შესყიდვასთან, აშენებასთან ან შექმნასთან, რომლებიც კაპიტალიზირდება როგორც ამ აქტივის ნაწილი.

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები თავდაპირველად აღიარდება სამართლიანი ღირებულებით, ხოლო შემდგომში ისინი წარედგინება ამორტიზირებული ღირებულებით.

3.8 ფული ხელზე და საბანკო ანგარიშებზე

ფული და ფულის ექვივალენტები მოიცავს ხელზე არსებულ ნაღდ ფულს, ფულს საბანკო ანგარიშებზე და ტრანზიტულ ფულად ნაკადებს.

ფულადი სახსრების ანგარიშგების მიზნებისათვის ფულადი ექვივალენტები არის მოთხოვნამდე დეპოზიტები, სხვა მოკლევადიანი, მაღალ ლიკვიდური ინვესტიციები რომლებიც ადვილად კონვერტირებადია ფულად სახსრებად და რომლებიც ატარებენ ღირებულების ცვლილების უმნიშვნელო რისკს. ფულადი სახსრები გამოიყენება უფრო მოკლევადიანი ფულადი ვალდებულებების შესრულების მიზნით, ვიდრე ინვესტიციის ან სხვა მიზნებისთვის. კომპანია ინვესტიციას აკლასიფიცირებს როგორც ფულადი სახსრების ექვივალენტს, თუ იგი ადვილად კონვერტირდება ფულადი სახსრების ცნობილ რაოდენობაში და აქვს ღირებულების დაკარგვის უმნიშვნელო რისკი.

3.9 კაპიტალი

საწესდებო კაპიტალი წარმოადგენს კომპანიის მიერ გამოშვებული აქციების ნომინალურ ღირებულებას.

აკუმულირებული მოგება/ზარალი შეიცავს წინა პერიოდების აკუმულირებულ მოგება/ზარალებს.

დივიდენდები აღირიცხება როგორც ვალდებულება იმ პერიოდისთვის, რომელშიც გამოცხადდა.

კაპიტალში კონტრიბუცია/(კაპიტალში კონტრიბუციის შემცირება) წარმოადგენს აქციონერების დამატებით ინვესტიციას (განაწილებას აქციონერებზე), აქციონერთა სესხების ნომინალური ღირებულებასა და აღიარებისას მათ სამართლიან ღირებულებას შორის არსებული სხვაობით, რომლებიც გაანგარიშებულია მომავალი ფულადი ნაკადების ეფექტური საპროცენტო განაკვეთით დისკონტირებით. (შენიშვნა 8.2)

3.10 სახელმწიფო გრანტები

სახელმწიფო გრანტები არ აღიარდება მანამდე, სანამ არ არსებობს გონივრული გარანტია, რომ კომპანია შეასრულებს მათთან დაკავშირებულ პირობებს და მიიღებს გრანტებს.

სახელმწიფო გრანტები, რომელთა ძირითადი პირობაა, რომ კომპანიამ უნდა იყიდოს, აწარმოოს ან სხვაგვარად შეიძინოს გრძელვადიანი აქტივები, ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში ასახულია გადავადებული შემოსავლის სახით და აქტივის სასიცოცხლო პერიოდის მიხედვით, სისტემატურ და რაციონალურ საფუძველზე ხდება მისი გადატანა მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

სხვა სახელმწიფო გრანტები აღიარდება შემოსავლად სისტემატურ საფუძველზე, იმ საანგარიშგებო პერიოდებში, რომელშიც საწარმო ხარჯად აღიარებს დანახარჯებს, რომელთა დაფინანსებაც ხდება გრანტის მეშვეობით. სახელმწიფო გრანტი, რომელიც მიღებული იქნება გაწეული ხარჯებისა და ზარალის კომპენსაციის სახით, ან საწარმოს გადაუდებელი ფინანსური დახმარების მიზნით, რომელსაც არ ექნება შესაბამისი სამომავლო დანახარჯები, უნდა აღიარდეს იმ პერიოდის მოგებაში ან ზარალში, როდესაც იგი დაექვემდებარება მიღებას.

იმ გრძელვადიანი უპროცენტო სესხის შემთხვევაში, რომელიც კომპანიამ სახელმწიფოსგან მიიღო სადაზღვევო კომპანიებისგან უიმედო მოთხოვნების კომპენსაციისათვის, განსხვავება, რომელიც წარმოიშობა სესხის სამართლიან ღირებულებას და ნომინალურ ღირებულებას შორის, აღიარებულია, როგორც შემოსავალი სახელმწიფო გრანტიდან, იმ პერიოდში, რომელშიც სესხი არის მიღებული.

3.11 მოგების გადასახადი

მიმდინარე მოგების გადასახადი არის საგადასახადო ვალდებულება პერიოდის დასაბეგრ მოგებაზე, რომელიც გაანგარიშებულია ანგარიშგების თარიღისთვის არსებული საგადასახადო განაკვეთით და ითვალისწინებს წინა წლებთან დაკავშირებული საგადასახადო ვალდებულების ყველა შესაძლო შესწორებას.

მოგების გადასახადში განხორციელებული ცვლილებები, რომლებიც ეფექტურია 2017 წლის 1 იანვრიდან

2017 წლის 1 იანვრიდან საქართველოს საგადასახადო კოდექსში შევიდა მნიშვნელოვანი ცვლილებები, ეს ცვლილება დაკავშირებული იყო კორპორატიული საშემოსავლო გადასახადის ახალ მოდელთან.

ახალი მოდელის მიხედვით მოგების გადასახადის განაკვეთი განისაზღვრა ნულოვანი განაკვეთით, იმ შემთხვევაში თუ არ მოხდება მოგების განაწილება და დარჩება კომპანიაში გაუნაწილებელი მოგების სახით, ხოლო 15%-ით დაიბეგრება დივიდენდად განაწილებული მოგება, მაშინ როცა ძველი მოდელის მიხედვით კომპანიების მოგება იბეგრებოდა 15%-ით, მიუხედავად იმისა, ეს მოგება გაიცემოდა დივიდენდად, თუ კომპანიაში რჩებოდა გაუნაწილებელი მოგების სახით. 2017 წლის 1 იანვრიდან კომპანიები დაიბეგრებიან მოგების გადასახადით, თუ მოხდება მოგების განაწილება (დივიდენდის გაცემა) და ასევე, მოგების გადასახადით იბეგრება ისეთი ტრანზაქციები ინდივიდუალურ პირებთან, რომელიც დაკავშირებულია მოგების მიღებასთან (ბენეფიტი, საჩუქარი, გადასახადები, რომლებიც არაა ეკონომიკურ საქმიანობასთან დაკავშირებული და სხვა).

დივიდენდის გაცემასთან დაკავშირებული მოგების გადასახადი აღიარდება იმ პერიოდის ხარჯად, როდესაც მოხდა მისი გამოცხადება. ამ შემთხვევაში მოგების განაწილება იბეგრება 15/85

2016 წლამდე დაგროვილ გაუნაწილებელ მოგებაზე, 2017 წელს გამოცხადებული და გადახდილი დივიდენდი, იბეგრება მოგების გადასახადით წინა წლების მოდელის მიხედვით.

აღნიშნული ცვლილების გამო, არ წარმოიქმნება დროებითი სხვაობები ჯგუფის აქტივებსა და ვალდებულებებში 2017 წლის 1 იანვრის მდგომარეობით, შესაბამისად ბასს 12-ის მიხედვით, არ არსებობს გადავადებული მოგების გადასახადის არც აქტივი და არც ვალდებულება.

3.12 შემოსავალი

შემოსავლის აღიარებისათვის კომპანია მიყვება შემდეგ 5-ეტაპიან პროცესს:

1. კლიენტთან კონტრაქტის იდენტიფიცირება;
2. შესასრულებელი ვალდებულების იდენტიფიცირება
3. ტრანზაქციის ფასის განსაზღვრა
4. ტრანზაქციის ფასის გამოყენება შესასრულებელი ვალდებულებისთვის
5. შემოსავლის აღიარება, როდესაც შესასრულებელი ვალდებულება დაკმაყოფილდა

შემოსავალი აღიარდება ან დროის კონკრეტულ მომენტში ან გარკვეული პერიოდის განმავლობაში, როდესაც (ან როგორც) კომპანია დააკმაყოფილებს შესასრულებელ ვალდებულებებს შეპირებული საქონლის გადაცემით ან მომსახურების გაწევით კლიენტისთვის.

კომპანია აღიარებს საკონტრაქტო ვალდებულებას შეუსრულებელი ვალდებულების შესაბამისად და წარადგენს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, როგორც საკონტრაქტო ვალდებულებას. ანალოგიურად, თუ კომპანია დააკმაყოფილებს შესრულების ვალდებულებას, ფულადი სახსრების მიღებამდე, კომპანია აღიარებს საკონტრაქტო აქტივს ან მოთხოვნებს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, რომელიც დამოკიდებულია გადახდის პერიოდისგან განსხვავებულ სხვა გარემოებებზე.

შემოსავალი სამედიცინო/ჯანდაცვის სერვისებიდან

24 საათის განმავლობაში (სასწრაფო დახმარების) საავადმყოფოში ყოფნის სტაციონარულ მომსახურებასთან დაკავშირებული შემოსავლები აღიარებულია პაციენტის სამედიცინო ჩანაწერის დახურვის დღის მიხედვით.

შემოსავლები პაციენტებიდან, რომელთა სტაციონარული ან ამბულატორული მომსახურება 24 საათზე მეტ ხანს გრძელდება, აღიარდება შემდეგნაირად:

- i. ინდივიდუალური პაციენტების მიერ დაფარული მკურნალობის ღირებულება აღიარებულია შემოსავლის სახით, როდესაც სამედიცინო მომსახურება გაწეულია და ანგარიში წარდგენილია პაციენტზე.
- ii. პაციენტის სადაზღვევო პოლისის მიერ დაფარული მკურნალობის ღირებულება აღიარებულია შემოსავლის სახით, როდესაც სამედიცინო მომსახურება სრულად გაეწია პაციენტს, მოხდა პაციენტის სამედიცინო ჩანაწერის დახურვა და არსებობს გონივრული საფუძველი, რომ ანაზღაურების მიღება მოხდება ჯანმრთელობის დამზღვევი პროვაიდერისგან. სამედიცინო ჩანაწერებზე დაფუძნებით აღიარებული შემოსავალი წარედგინება:
 - პაციენტის ჯანმრთელობის დაზღვევის პროვაიდერებს, სადაზღვევო პოლისის პირობების მიხედვით; ან
 - საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სამინისტროს სოციალური მომსახურების სააგენტოს, ჯანმრთელობის დაზღვევის სახელმწიფო პოლიტიკის პირობების შესაბამისად.

შემოსავალი იჯარიდან

შემოსავალი იჯარიდან აღიარდება წრფივი მეთოდით, შესაბამისი იჯარის ვადის მიხედვით.

4 ძირითადი საშუალებები

ლარი	სამედიცინო აღჭურვილობა და დანადგარები	ავეჯი და საოფისე ინვენტარი	სულ
<i>ღირებულება</i>			
1 იანვარი, 2018 წელი	4,681,304	573,205	5,254,509
მატება	542,504	15,198	557,702
კლება	(61,593)	(9,389)	(70,982)
31 დეკემბერი, 2018 წელი	5,162,215	579,014	5,741,229
მატება	155,431	13,797	169,228
კლება	(93,131)	(10,643)	(103,774)
31 დეკემბერი, 2019 წელი	5,224,515	582,168	5,806,683
<i>დაგროვილი ცვეთა</i>			
1 იანვარი, 2018 წელი	1,787,425	333,668	2,121,093
წლის ცვეთა	795,012	118,602	913,614
კლების შედეგად ცვეთის ელიმინირება	(59,011)	(7,459)	(66,470)
31 დეკემბერი, 2018 წელი	2,523,426	444,811	2,968,237
წლის ცვეთა	851,368	94,306	945,674
კლების შედეგად ცვეთის ელიმინირება	(53,718)	(43,772)	(97,490)
31 დეკემბერი, 2019 წელი	3,321,076	495,345	3,816,421
<i>საბალანსო ღირებულება</i>			
31 დეკემბერი, 2018 წელი	2,638,789	134,203	2,772,992
31 დეკემბერი, 2019 წელი	1,903,439	86,823	1,990,262

კომპანიის ძირითადი საშუალებები არ დაგირავებულია სესხების უზრუნველსაყოფად.

ცვეთის ხარჯები დაერიცხა ადმინისტრაციულ ხარჯებს.

5 აქტივების გამოყენების უფლება

ლარი	შენიშვნები	სულ
<i>ღირებულება</i>		
2019 წლის 1 იანვარი	-	-
ფასს 16-ზე გადასვლის კორექტირება	4,006,322	4,006,322
შემოსვლა	-	-
2019 წლის 31 დეკემბერი	4,006,322	4,006,322
<i>დაგროვილი ცვეთა</i>		
2019 წლის 1 იანვარი	-	-
წლის გადასახადი	1,335,441	1,335,441
2019 წლის 31 დეკემბერი	1,335,441	1,335,441
<i>საბალანსო ღირებულება</i>		
2019 წლის 1 იანვარი	-	-
2019 წლის 31 დეკემბერი	2,670,881	2,670,881

საავადმყოფოს შენობა იჯარით აღებულია შპს „Amtel Medical Properties“- ისგან, რომელიც წარმოადგენს დაკავშირებულ მხარეს.

საიჯარო ვადა განსაზღვრულია 3 (სამი) წლით. ამორტიზაცია აღრიცხულია მოგება ზარალის ანგარიშგებაში წრფივი მეთოდის გამოყენებით.

6 სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

ლარი	2019 წლის 31 დეკემბერი	2018 წლის 31 დეკემბერი
<i>ფინანსური აქტივები</i>		
მოთხოვნები სოციალური მომსახურების სააგენტოსგან	3,118,277	3,056,648
მოთხოვნები სადაზღვევო კომპანიებისგან	667,970	791,910
მოთხოვნები პაციენტებისგან	776,175	517,250
მოთხოვნები სხვა იურიდიული პირებისგან	38,058	40,205
სხვა სავაჭრო მოთხოვნები	5,472	10,875
	<u>4,605,952</u>	<u>4,416,888</u>
რეზერვი საკრედიტო ზარალისთვის	(1,122,997)	(961,530)
	<u>3,482,955</u>	<u>3,455,358</u>
<i>არაფინანსური აქტივები</i>		
წინასწარგაწეული ხარჯები	208,814	350,354
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	<u>3,691,769</u>	<u>3,805,712</u>

ყველა თანხა მოკლევადიანია. სავაჭრო მოთხოვნების წმინდა საბალანსო ღირებულება უტოლდება მის სამართლიან ღირებულებას.

მოთხოვნის დაფარვის საშუალო პერიოდია 121 დღე (2018: 128 დღე). სავაჭრო მოთხოვნებს პროცენტი არ ერიცხება.

კომპანიის ყველა სავაჭრო და სხვა მოთხოვნები შესადარის პერიოდებში გადახდილი იქნა გაუფასურების მაჩვენებლების შესაბამისად.

კომპანიამ 365 დღეს გადაცილებული მოთხოვნები მთლიანად ჩართო გაუფასურების რეზერვში. მოთხოვნების მოცულობა რომელიც გადაცილებულია 365 დღეს არის 732,716 ლარი, საიდანაც მოთხოვნები კერძო სადაზღვევო კომპანიებისგან 701,135 ლარი (2018: 729,456 ლარი, საიდანაც მოთხოვნები კერძო სადაზღვევო კომპანიებისგან არის 710,799 ლარი). 2019 წლის 31 დეკემბრისთვის ინდივიდუალური სავაჭრო მოთხოვნები მთლიანი საბალანსო ღირებულებით 390,284 ლარი (2018 წლის 31 დეკემბრისთვის: 232,074 ლარი) გაუფასურდა და სრულად იყო დარეზერვებული.

შენიშვნა 18(ბ) მოიცავს საკრედიტო რისკებთან დაკავშირებულ და სავარაუდო საკრედიტო ზარალის შესახებ ინფორმაციას. გაუფასურების რეზერვის თანხა შესადარისი პერიოდისთვის, დათვლილია ზასს 39-ის მიხედვით, რომელიც იყენებდა “მომხდარი ზარალის” მოდელს, ხოლო მიმდინარე წელს გამოიყენება ფასს 9, რომელიც “მოსალოდნელი ზარალის” მოდელს იყენებს.

კომპანიის დებიტორული თანხები არის დაგირავებული კომპანიისთვის ბანკის სესხის მისაღებად.

ყველა მოთხოვნა დენომინირებულია ლარში.

7 ფული სალაროში და საბანკო ანგარიშებზე

ლარი	2019 წლის 31 დეკემბერი	2018 წლის 31 დეკემბერი
ნაღდი ფული	2,753	5,359
ფული საბანკო ანგარიშებზე	1,071,534	884,656
	<u>1,074,287</u>	<u>890,015</u>

ფულადი სახსრების ვალუტის მიხედვით განაწილებისათვის იხილეთ შენიშვნა 18 (ა).

8 კაპიტალი და რეზერვები

8.1 საწესდებო კაპიტალი

საწესდებო კაპიტალი შედგება ერთი აქციისგან ნომინალური ღირებულებით 39,277 ლარი, რომელიც ეკუთვნის ამტელ ჰოლდინგ სინგაპურს (Amtel Holdings Singapore Pte Ltd, Singapore).

8.2 კაპიტალში კონტრიბუცია

კომპანიამ მიიღო სესხი თავისი აქციონერისგან. სესხი შედგებოდა რამდენიმე ტრანშისგან. (იხ. შენიშვნა 8). სესხის პირობების მიხედვით სესხის ძირითად თანხაც და დარიცხული პროცენტიც სესხის ვადის ბოლოს უნდა დაიფაროს. განსხვავება სესხების ნომინალურ და სამართლიან ღირებულებას შორის (რომელიც 12%-იანი დისკონტირების განაკვეთით დათვლილი ფულადი ნაკადების საფუძველზე განისაზღვრა), აღიარებულ იქნა როგორც კონტრიბუცია კაპიტალში (კაპიტალის ელემენტი).

ცვლილებები სესხის ხელშეკრულებაში

კომპანიამ (მსესხებელი) და მისმა აქციონერმა (კრედიტორი) - ამტელ ჰოლდინგ სინგაპურმა, 2016 წლის 1 ოქტომბერს ხელი მოაწერეს ცვლილებას სესხის ხელშეკრულებაში, რომლის მიხედვითაც წლიური საპროცენტო განაკვეთი დაუფარავ სესხზე შემცირდა 16%-დან 12%-მდე. კომპანიის ხელმძღვანელობამ ცვლილებები სესხის პირობებზე მიიჩნია მნიშვნელოვნად და გააკეთა შესაბამისი კორექტირება - შეწყვიტა ცვლილებამდე სესხის საბალანსო ღირებულების აღიარება და აღიარა სესხი რეალური ღირებულებით, შესწორებული პირობების მიხედვით. განსხვავება შესწორებული პირობების მიხედვით აღიარებული სესხის სამართლიან ღირებულებასა და სესხის ნომინალური ღირებულებას შორის, აისახა როგორც კაპიტალში კონტრიბუციის შემცირება. (კაპიტალის მფლობელებისათვის გადანაწილება) (შენიშვნა 8).

2017 წლის განმავლობაში კომპანიამ დაიწყო პროცენტის რეგულარულად გადახდა. სესხის ხელშეკრულების მიხედვით, მომავალი ფულადი ნაკადების მნიშვნელოვანი ცვლილების გამო, ხელმძღვანელობამ გადაიანგარიშა სესხების სამართლიანი ღირებულება 2017 წლის 1 იანვრის მდგომარეობით და დააკორექტირა კაპიტალში კონტრიბუცია რეტროსპექტულად. (შენიშვნა 8).

2018 წლის განმავლობაში, კომპანიას სრულად აქვს გადახდილი დარჩენილი სესხის ძირი და პროცენტი. სესხის გრაფიკის ცვლილების თანახმად, მენეჯმენტმა გაიანგარიშა რეალური ღირებულებები და კორექტირებული კაპიტალის წვლილი.

2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, კომპანიამ დაფარა ყველა სასესხო ვალდებულება მშობელი კომპანიის მიმართ და 2019 წელს დამატებითი სესხი არ აუღია, შესაბამისად 2019 წელს ამ ანგარიშზე მოძრაობა არ ფიქსირდება.

9 სესხები

ლარი	მიმდინარე		გრძელვადიანი	
	2019 წლის 31 დეკემბერი	2018 წლის 31 დეკემბერი	2019 წლის 31 დეკემბერი	2018 წლის 31 დეკემბერი
უზრუნველყოფილი სესხი	452,530	-	-	1,000,613
არაუზრუნველყოფილი სახელმწიფო სესხი	-	-	32,173	28,311
	<u>452,530</u>	<u>-</u>	<u>32,173</u>	<u>1,028,924</u>

გრძელვადიანი სესხების სამართლიანი ღირებულება უახლოვდება მათ საბალანსო ღირებულებას. სამართლიანი ღირებულება ეფუძნება ფულადი ნაკადების დისკონტირებას 12.84% -იანი განაკვეთით სახელმწიფო სესხებისთვის (2017: 12.84).

2018 წლის 24 აპრილს კომპანიამ მიიღო ფინანსური საშუალებები კომერციული ბანკისგან - სს „თიბისი ბანკი“ გან, საკრედიტო ხაზის სახით, 1 მლნ ლარის ლიმიტით. საკრედიტო ხაზის საწყისი ვადა იყო 1 წელი, რომელიც იწურება 2019 წლის 24 აპრილს. ამის შემდგომ ეს გაგრძელდება 2020 წლის 24 აპრილამდე. საკრედიტო ხაზს აქვს მოქნილი საპროცენტო განაკვეთი: 4.75%, პლუს ეროვნული ბანკის რეფინანსირების პროცენტი ხელშეკრულების გაფორმების მომენტში, გადახედილია ყოველი თვის პირველ დღეს, ეროვნული ბანკის წინა კალენდარული თვის რეფინანსირების განაკვეთის საფუძველზე.

ზემოხსენებული ხელშეკრულება შეიცავს ქვემოთ აღწერილ ფინანსურ შეთანხმებებს, რომლებიც მოქმედებს სესხის პერიოდში:

- მთლიანი ვალდებულებები არ უნდა აღემატებოდეს ოპერაციული მოგების 300% -ს (EBITDA).
- სესხის მომსახურების დაფარვის რაციონი უნდა შენარჩუნდეს მინიმუმ 1.3. ($DSCR = \frac{EBITDA - Maintenance\ CAPEX}{\text{დივიდენდი-მოგების გადასახადი}} / \text{გრძელვადიანი სესხი}$)
- უფასო ფულადი ნაკადებისგან სესხის მომსახურება უნდა შენარჩუნდეს მინიმუმ 1.05. ($CFADS = \frac{EBITDA - \text{ს ცვლილება საბრუნავი კაპიტალის შენარჩუნებაში CAPEX - დივიდენდი-მოგების გადასახადი}}{\text{გრძელვადიანი სესხები}}$)
- ICR უნდა შენარჩუნდეს მინიმუმ 3.0 ($ICR = \frac{EBITDA - \text{სარემონტო CAPEX}}{\text{დარიცხული პროცენტი}}$)

იხილეთ უცხოური ვალუტის რისკებზე კომპანიის ზემოქმედების შესახებ დამატებითი ინფორმაციისათვის იხილეთ 18 (ა) პუნქტი.

2019 წლის სესხების შესახებ ინფორმაცია წარმოდგენილია ქვემოთ:

							ნაშთი 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	
ტრანში	ძირითადი თანხა ორიგინალ ვალუტაში	ორიგინალი ვალუტა	მიღების თარიღი	დაფარვის თარიღი	ხელშეკრულების განაკვეთი(%) წლიური	ეფექტური განაკვეთი% წლიური	ძირითადი	დარიცხული პროცენტი
უზრუნველყოფილი სესხები კომერციული ბანკიდან								
სს თიბისი ბანკი	1,000,000	ლარი	24-04-2018	24-04-2020	4.75%+ სეზ-ის რეფინანსირების განაკვეთი	4.75%+სეზ-ის რეფინანსირების განაკვეთი	450,264	2,266
							450,264	2,266
არაუზრუნველყოფილი სახელმწიფო სესხები								
ტრანში 1	133,012	ლარი	23-07-2014	23-07-2034	0%	12.84%	14,210	14,498
ტრანში 2	22,389	ლარი	12-11-2014	23-07-2034	0%	12.85%	1,789	1,676
							15,999	16,174
							466,263	18,440

სესხების განმარტებითი შენიშვნები 2018 წლისთვის წარმოდგენილია ქვემოთ:

ტრანში	ძირითადი თანხა	ორიგინალი ვალუტა	მიღების თარიღი	დაფარვის თარიღი	წლიური საპროცენტო განაკვეთი		ნაშთი 2018 წლის 31 დეკემბრისთვის	
	ორიგინალ ვალუტაში				ხელშეკრულებით	ეფექტური	ძირითადი	დარიცხული პროცენტი
უზრუნველყოფილი სესხები კომერციული ბანკიდან								
სს თიბისი ბანკი	1,000,000	ლარი	24-04-18	24-04-20	4.75% + სეზ-ის რეფინანსირების განაკვეთი	4.75% + სეზ-ის რეფინანსირების განაკვეთი	996,123	4,490
							996,123	4,490
არაუზრუნველყოფილი სესხები მთავრობისგან								
ტრანში 1	133,012	ლარი	23-07-14	23-07-34	0%	12.84%	14,210	11,052
ტრანში 2	22,389	ლარი	12-11-14	23-07-34	0%	12.85%	1,789	1,260

15,999	12,312
1,012,122	16,802

არაუზრუნველყოფილი სახელმწიფო სესხები

კომპანიის სავაჭრო დებიტორული დავალიანება მოიცავს შპს "არქიმედეს გლობალ ჯორჯია სს"-სგან მისაღებ 539,373 ლარს (2018: 563,206 ლარი), რომელიც 2011 წელს წარმოიშვა. მოცემული სადაზღვევო კომპანია ლიკვიდაციის პროცესშია და მასთან დაკავშირებული მოთხოვნები ვადაგადაცილებულია 365 დღეზე მეტი ხნით. საქართველოს მთავრობის 309-ე დადგენილების "სამედიცინო დაწესებულებების უწყვეტი ფუნქციონირების შესახებ" და საქართველოს კანონის "ფინანსური მხარდაჭერა სამედიცინო დაწესებულებებს უწყვეტი სამედიცინო მომსახურების გასაწევად" მიხედვით (პროგრამის კოდი # 35 03 06), კომპანიამ მიიღო გრძელვადიანი უპროცენტო სესხი საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროსგან 155,401 ლარის ოდენობით, რომელიც ასევე განიხილება, როგორც ფინანსური მხარდაჭერა დაუზრუნავი მოთხოვნებისთვის. სესხის ხელშეკრულება დაიდო 2014 წლის 23 ივლისს. სესხის მიღება მოხდა ორი ტრანშის სახით, რომლის დაფარვის ვადაა 2034 წლის 23 ივლისი.

დაფარვის რეჟიმი და სესხის გრაფიკი დაფუძნებულია შედმეგი პირობების დაკმაყოფილების საფუძველზე:

- 1.თუ სამედიცინო სადაზღვევო კომპანია "არქიმედეს გლობალ ჯორჯია" სრულად დააბრუნებს არსებულ ვალს, მაშინ კომპანია სრულად დაუბრუნებს საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სესხის საბალანსო ნაშთს, "არქიმედი გლობალ ჯორჯია"-დან თანხის მიღებიდან 30 დღის ვადაში.
2. თუ სამედიცინო სადაზღვევო კომპანია "არქიმედეს გლობალ ჯორჯია" არ გადაიხდის არსებულ დავალიანებას, მაშინ კომპანია ვალდებულია მთლიანად გადაიხადოს სესხი, სასესხო ხელშეკრულების მიხედვით იმ ვადაში რაც განსაზღვრულია სასესხო ხელშეკრულებაში.
- 3.თუ სამედიცინო სადაზღვევო კომპანია "არქიმედეს გლობალ ჯორჯია" დაფარავს დავალიანებას ნაწილობრივ, კომპანია ვალდებულია სესხის დაფარვა დაიწყოს მოვალისგან ნაწილობრივი გადახდის დაწყებიდან 15 წლის შემდეგ. სესხის გადახდა უნდა მოხდეს 5 წლის განმავლობაში თანაბარი ყოველთვიური შენატანებით.

2014 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, სამედიცინო სადაზღვევო ჯგუფ "არქიმედეს გლობალ ჯორჯიამ" გადაიხდა 24,162 ლარი, რა შემთხვევაც აღწერილია ზემოთ მოყვანილი პირობებიდან მესამეში. აქედან გამომდინარე, სესხის დაიფარვა დაიწყება 2029 წლის აგვისტოდან 5 წლის განმავლობაში, ყოველთვიურად თანაბარი გადახდებით. სესხი აღიარებულ იქნა სამართლიანი ღირებულებით, რომელიც გამოთვლილია, მომავალი ფულადი ნაკადების დისკონტირებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის 13.68%-ის გამოყენებით.სხვაობა სესხის სამართლიან ღირებულებას და საბალანსო ღირებულებას შორის 2014 წელს მთავრობის გრანტიდან მიღებულ შემოსავლად აღიარეს.შემდგომი გადახდა განხორციელდა,სამედიცინო სადაზღვევო ჯგუფ "არქიმედეს გლობალ ჯორჯია"-ს მიერ:

- 2016 წელს 23,910 ლარი
- 2018 წელს 23,857 ლარი
- 2019 წელს 28,833 ლარი

ამგვარი შემდგომი გადახდები მოვალისგან არ ახდენს გავლენას ან ცვლის სესხის პირობებს პირველი გადახდის შემდეგ.

10 იჯარა

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, საიჯარო ვალდებულებები წარმოდგენილია შემდეგნაირად:

ლარი	2019 წლის 31 დეკემბერი	2018 წლის 31 დეკემბერი
მიმდინარე	1,502,471	-
გრძელვადიანი	1,474,377	-
	2,976,848	-

კომპანიას აქვს იჯარით აღებული შენობები. ყველა იჯარა, გარდა მოკლევადიანი ან დაბალი ღირებულების მქონე იჯარისა, აისახება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, როგორც აქტივის გამოყენების უფლება და საიჯარო ვალდებულება. (შენიშვნა 5)

ჩვეულებრივ, ყველა საიჯარო ხელშეკრულება ზღუდავს საიჯარო ფართის ქვეიჯარით გაცემის შესაძლებლობას, თუკი არ არის კონკრეტულად ჩანაწერი რომ კომპანიის შეუძლია ფართის გაცემა ქვეიჯარით. იჯარის ხელშეკრულებები არის ან შეწყვეტის უფლების გარეშე, ან შეწყვეტა შესაძლებელია მხოლოდ მნიშვნელოვანი ჯარიმის გადახდით. ზოგიერთი საიჯარო ხელშეკრულება მოიცავს იჯარის ვადის გაგრძელების ოფციასაც.

ქვემოთ მოცემული ცხრილი აღწერს კომპანიის საიჯარო აქტივობების ბუნებას, ფინანსურ ანგარიშგებაში აღიარებული აქტივების გამოყენების უფლების ტიპების მიხედვით.

აქტივის გამოყენების უფლება	იჯარით აღებული აქტივების რაოდენობა	დარჩენილი ვადის დიაპაზონი (წელი)	საშუალო დარჩენილი იჯარის ვადა (წელი)	იჯარების რაოდენობა ვადის გაგრძელების უფლებით	იჯარების რაოდენობა შეძენის უფლებით	იჯარების რაოდენობა ინდექსზე მიბმული ცვლადი გადახდებით	
						იჯარების რაოდენობა	იჯარების რაოდენობა შეწყვეტის უფლებით
შენობის ქირა	1	2	2	1	-	-	-

საიჯარო ვალდებულებები უზრუნველყოფილია შესაბამისი აქტივებით. მომავალი მინიმალური საიჯარო გადახდები 2019 წლის 31 დეკემბრისთვის შემდეგნაირია:

ლარი	მინიმალური საიჯარო გადახდები	
	2019 წლის 31 დეკემბერი	2018 წლის 31 დეკემბერი
ერთ წლამდე პერიოდში		
საიჯარო გადახდები	1,730,200	-
ფინანსური ხარჯები	(227,729)	-
	1,502,471	-
2-5 წლამდე პერიოდში		
საიჯარო გადახდები	1,557,600	-
ფინანსური ხარჯები	(83,223)	-
	1,474,377	-
ხუთი წლის შემდეგ		
საიჯარო გადახდები	-	-
ფინანსური ხარჯები	-	-
	-	-
წმინდა დღევანდელი ღირებულება	2,976,848	-

საიჯარო გადახდები, რომლებიც არ არის აღიარებული ვალდებულებად

კომპანიამ გადაწყვიტა არ აღიაროს საიჯარო ვალდებულება მოკლევადიანი იჯარისთვის (12 თვით ან ნაკლები საიჯარო ვადის მქონე იჯარებისთვის) და დაბალი ღირებულების მქონე საიჯარო აქტივების იჯარებისთვის. ამგვარ საიჯარო გადახდები ხარჯებად აღიარდება წრფივი მეთოდით. ამასთანავე, ზოგიერთი ცვლადი საიჯარო გადახდები, რომლებიც არ აღიარდება როგორც საიჯარო ვალდებულება, გაწევისთანავე აღიარდება ხარჯად.

ხარჯები, დაკავშირებული ისეთ საიჯარო გადახდებთან, რომლებიც არ ჩაირთვება საიჯარო

ვალდებულებებში, შემდეგია:

ლარი	2019
მოკლევადიანი იჯარა	
დაბალი ღირებულების მქონე საიჯარო აქტივის იჯარა	152
ცვლადი საიჯარო გადასახდელები	
	152

იჯარასთან დაკავშირებული მთლიანი ფულადი ნაკადების გადინება 2019 წლის 31 დეკემბრისთვის იყო 1,385,000.

დამატებითი ინფორმაცია აქტივების გამოყენების უფლების შესახებ შემდეგია:

ლარი	საბალანსო ღირებულება (შენიშვნა 4)	ცვეთის ხარჯი	გაუფასურება
შენიშვნა	4,066,322	1,335,441	-
სულ აქტივის გამოყენების უფლება	4,066,322	1,335,441	-

სარგებლობის უფლების მქონე აქტივები შედის იმავე სტრიქონში, სადაც წარმოდგენილი იქნება შესაბამისი ძირითადი აქტივები, თუ ისინი ფლობდნენ.

11 სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

ლარი	2019 წლის 31 დეკემბერი	2018 წლის 31 დეკემბერი
სავაჭრო ვალდებულებები	392,797	137,232
ვალდებულებები თანამშრომლების მიმართ	663,635	636,076
ვალდებულებები სახელმწიფო ბიუჯეტის მიმართ	155,591	157,968
სხვა	17,513	17,935
	1,229,536	949,211

2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით სავაჭრო ვალდებულებები მოიცავს საიჯარო ვალდებულებას დაკავშირებულ მხარესთან – შპს ამტელ მედიკალ ფროფერტისთან – 301,573 ლარის ოდენობით. 2018 წლის განმავლობაში დარჩენილი თანხა სრულად დაიფარა.

სახელმწიფო ბიუჯეტის გადასახდელები მოიცავს პირადი საშემოსავლო გადასახადის გადასახდელებს.

დამატებითი ინფორმაციისთვის იხილეთ 18-ე შენიშვნა (კომპანიის შესახებ) კომპანიის მიერ უცხოური ვალუტის რისკის შესახებ.

12 საპროცენტო შემოსავლები და ხარჯები

ლარი	2019 წლის 31 დეკემბერი	2018 წლის 31 დეკემბერი
საბანკო სესხებზე საპროცენტო ხარჯი	90,796	72,396
დაკავშირებული მხარეებისგან სესხებზე საპროცენტო ხარჯი	-	30,556
დისკონტირების შედეგად გაანგარიშებული საპროცენტო ხარჯი სახელმწიფოსგან მიღებულ უპროცენტო სესხზე	3,862	3,400
საპროცენტო ხარჯები იჯარაზე	355,526	-
წმინდა საპროცენტო დანახარჯები	450,184	106,352

13 მოგება/(ზარალი) საკურსო სხვაობიდან

ლარი	2019 წლის 31 დეკემბერი	2018 წლის 31 დეკემბერი
სესხები და მოთხოვნები	34,736	(68,729)
ფინანსური ვალდებულებები აღიარებული ამორტიზირებული ღირებულებით	2,608	80,823
	37,344	12,094

14 მოგების გადასახადის ხარჯი

მიმდინარე გადასახადი დაკავშირებული გამოუქვითავ ერთეულებთან, გადაიხდება ტრანზაქციის თარიღისას.

რეკონსილაცია ეფექტური საგადასახადო განაკვეთის არ არის წარმოდგენილი და დივიდენდები არ არის დეკლარირებული 2019 წლის 31 დეკემბრისთვის, და 2018 წლის 31 დეკემბრისთვის.

15 შემდგომი მოვლენები

Covid -19

2020 წლის დასაწყისში ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციამ COVID-19 კორონავირუსის გამოვლენა პანდემიად გამოაცხადა. გლობალურად, COVID-19-მა გამოიწვია ბიზნესის საქმიანობაში მნიშვნელოვანი შეფერხება და ეკონომიკური გაურკვევლობის მნიშვნელოვანი ზრდა, აქტივების ფასებით და ვალუტის გაცვლითი კურსების მომატებული ცვალებადობით.

2020 წლის მარტში, საქართველოს მთავრობამ მიიღო გარკვეული ზომები ყველა კომერციული საქმიანობის შეზღუდვის მიზნით, გარკვეული შეზღუდული გამონაკლისებით.

კომპანიის სამედიცინო მომსახურების დიდ ნაწილს კვლავ ჰქონდათ მუშაობის უფლება. ამასთან, ალბათ, საერთო გაურკვევლობისა და კონტაქტის შიშის გამო, პაციენტების რაოდენობა და შესაბამისად, კომპანიის შემოსავლები შემცირდა 2020 წლის მარტიდან მასამდე. შემოსავლების შემცირების მიუხედავად, კომპანია კვლავ განაგრძობს მუშაობას.

ვინაიდან მოკლევადიან პერიოდში საკმაოდ არააქტიურია ხარჯების შემცირება იმავე დონეზე, როგორც შემოსავლები, 2020 წლის პირველი ექვსი თვის ფინანსური შედეგები არახელსაყრელი იქნება, ცხადია, ამ პერიოდში კომპანიას მნიშვნელოვანი ზარალი ექნება.

2020 წლის ივნისის დასაწყისიდან პაციენტთა ნაკადი შედარებით გაიზარდა, მენეჯმენტი ვარაუდობს, რომ ოპერაციების გაუმჯობესება გაგრძელდება და და შეიძლება წლის დასაწყისში პანდემიამდე პერიოდს დაუბრუნდეს.

კომპანია კვლავ მუშაობს სამუშაო პროცესის ორგანიზებაზე, რათა შეძლოს გაუმკლავდეს გამოწვევებს, რომლებიც დაკავშირებულია გაუთვალისწინებელ შემთხვევებთან.

ფინანსური მდგომარეობის გასაუმჯობესებლად კომპანიის მენეჯმენტმა გადაწყვიტა შემდეგი:

- მარტიდან კომპანიამ დროებით დახურა შენობის ორი სართული. ყველა ქირურგიული განყოფილების ერთ სართულზე განთავსებითმაქსიმალურად შემცირდა შესაბამისი შენახვის ხარჯები; რაც შეეხება ფინანსური ანგარიშგების ხელმოწერის თარიღს, ვითარება უცვლელია, თუმცა მენეჯმენტი გეგმავს ამ სართულების ხელახლა გახსნას წლის ბოლოს.
- დასაქმებულთა გარკვეული რაოდენობა ნებაყოფლობით გავიდა არა ანაზღაურებად შვებულებაში. ზოგიერთ თანამშრომელთან შეთანხმება იქნა მიღწეული ამ საკითხთან დაკავშირებით;
- ხელფასების კორექტირება მოხდა მრავალ დეპარტამენტში, თანამშრომლებთან შეთანხმებით;
- მასალები და მედიკამენტები მაქსიმალურად კონტროლდება, რათა თავიდან იქნას აცილებული არასასურველი გამოყენება;

- მარაგების დონე მინიმუმადეა დაყვანილი;
- შეკეთების, მომსახურების, ოფისის და სხვა ხარჯების შემცირება;
- კომუნალური ხარჯები მაქსიმალურად კონტროლდება;
- მისაღები მოთხოვნების შესაგროვებლად კომპანია ცდილობს იმუშაოს მოვალეებთან;
- კომპანია ცდილობს მოძებნოს პაციენტების მოზიდვის გზები;
- გარდა ამისა, მშობელმა კომპანიამ დამატებით \$ 500,000 გადასცა კომპანიას, თიბისი ბანკის საკრედიტო ხაზის დასაფარად ასევე მიმდინარე საოპერაციო ხარჯების დასაფარად და ლიკვიდურობის პრობლემების თავიდან აცილების მიზნით.

კომპანიამ ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების ზომები შეასრულა ყველა მათი თანამშრომლისა და მომხმარებლისათვის, ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის მიერ გაცემული რეკომენდაციის შესაბამისად.

16 მნიშვნელოვანი ბუღალტრული შეფასებები და დაშვებები

დაშვებები და მსჯელობები ეფუძნება ისტორიულ გამოცდილებას, ამასთან გაითვალისწინება სხვა ფაქტორებიც, როგორებიც არის მომავალი მოვლენების განვითარებასთან დაკავშირებული მოლოდინები, რომლებიც კონკრეტულ სიტუაციაში გონივრულად მიიჩნევა.

16.1 მნიშვნელოვანი ბუღალტრული შეფასებები

კომპანია შეფასებებს აკეთებს სამომავლო ფაქტორების გათვალისწინებით. მიღებული სააღრიცხვო შეფასებები, შესაძლოა განსხვავებული იყოს რეალურ შედეგისაგან. შეფასებები და დაშვებები, რომლებიც შეიცავს მნიშვნელოვან რისკს სამომავლოდ აქტივების და ვალდებულებების საბალანსო ღირებულების კორექტირების საჭიროებისა, განხილულია ქვემოთ:

ძირითადი საშუალებების სასიცოცხლო ვადები

ხელმძღვანელობამ შეაფასა ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადის ხანგრძლივობა. ხელმძღვანელობა დარწმუნებულია, რომ ეს შეფასებები მნიშვნელოვნად არ განსხვავდება ამ აქტივების ეკონომიკური მომსახურების ვადის ხანგრძლივობისგან. თუ რეალური სასარგებლო მომსახურების ვადა განსხვავდება ამ შეფასებებისგან, მაშინ ფინანსური ანგარიშგებები არსებითად განსხვავებული იქნება.

სესხის საბაზრო საპროცენტო განაკვეთი და სამართლიანი ღირებულება

ხელმძღვანელობამ ფინანსური ინსტრუმენტების სამართლიანი ღირებულების შეფასების მიზნით გამოიყენა საბაზრო საპროცენტო განაკვეთები. საბაზრო საპროცენტო განაკვეთების ცვლილებამ შესაძლოა ფინანსურ ვალდებულებებზე და საპროცენტო ხარჯებზე იქონიოს გავლენა. მენეჯმენტმა გამოიყენა საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ გამოქვეყნებული ინფორმაცია საქართველოში კომერციული ბანკების მიერ გაცემული სესხების შესახებ. შედარება დგინდება ისეთი ფაქტორების გათვალისწინებით, როგორიცაა უზრუნველყოფა, ხანგრძლივობა, ვალუტა, მრეწველობა და მსესხებლის სექტორი.

მენეჯმენტი მიიჩნევს, რომ ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივებისა და ფინანსური ვალდებულებების რეალური ღირებულებები მათი საბალანსო ღირებულების მიახლოებულია.

16.2 საკითხები ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპთან დაკავშირებით

უიმედო ვალები

დაარსების დღიდან კომპანიას აქვს ზარალი. 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, კომპანიის დაგროვილი ზარალი შეადგენს 759,214 ლარს. თუმცა, კომპანიის მფლობელი უზრუნველყოფს დაფინანსებას გრძელვადიანი სესხების სახით, ხელსაყრელი პირობებით (იხ. შენიშვნა 15) და ეს საკმარისია კომპანიის ვალდებულებების დასაფარავად. მენეჯმენტი მიიჩნევს, რომ მფლობელი მომავალშიც გააგრძელებს კომპანიის ფინანსურ მხარდაჭერას და კომპანიის უწყვეტ საქმიანობას საფრთხე არ ემუქრება.

ბრძანება # 520 საქართველოს ჯანდაცვის მინისტრის ბრძანება

ბრძანება # 520, რომელიც ძალაში შევიდა გასული წლის 20 ნოემბერს (საქართველოს ჯანდაცვის მინისტრის მიერ), აისახა გულის ქირურგიისა და ინტენსიური თერაპიის / რეანიმაციის კოდეზზე მომსახურების ფასების შეზღუდვების დაწესებით. კომპანიას არ აქვს კარდიოქირურგიის სერვისი, თუმცა ინტენსიური თერაპიის რეანიმაციული მომსახურება მომგებიანი იყო ამ ბრძანებამდე.

კომპანიის შემთხვევაში, რეანიმაციის დეპარტამენტის შემოსავალი საშუალოდ 14-15% -ით შემცირდა, რაც წარმოადგენს თერაპიული განყოფილებების ინტენსიური თერაპიის კოდეზის საერთო შემოსავლების დაახლოებით 4-5% -ს (ზოგადი თერაპია, ნევროლოგია, კარდიოლოგია). გარდა ამისა, უცხოური ვალუტის მიმართ ქართული ლარის მნიშვნელოვანმა დევალვაციამ ასევე უარყოფითად იმოქმედა მომსახურების ღირებულებაზე, რადგან იმპორტის, მედიკამენტების, სახარჯო მასალების, პროთეზების, იმპლანტატების და სხვა ნივთების შესყიდვის ფასები გაიზარდა ლარში.

თუმცა, კომპანიის მენეჯმენტი მიიჩნევს, რომ ამ საკითხის გავლენა კომპანიის საქმიანობაზე არ არის ძალიან მნიშვნელოვანი და არ ქმნის სერიოზულ საფრთხეს მომავალში საქმიანობის გაგრძელებისთვის.

COVID-19

არსებობს ზოგადი განუსაზღვრელობა COVID 19-ის მომავალი გავრცელების შესახებ, მაგრამ ინდუსტრიის სპეციფიკიდან გამომდინარე, რომელშიც კომპანია ოპერირებს, და მარტიდან, როცა მთავრობამ განსაკუთრებული ზომები მიიღო პანდემიის საპასუხოდ, ივნისამდე პერიოდში სიტუაციის გაუმჯობესების გათვალისწინებით, ხელმძღვანელობა თვლის, რომ კომპანიის მოქმედებს ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპით დაარ დგას რისკის ქვეშ.

ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ COVID 19 – ის გავრცელება საქართველოში შენარჩუნდება მისაღებ დაბალ დონემდე და შესაბამისად ქვეყნის საერთო ეკონომიკური აქტივობაც, გონივრულად მოკლე ვადებში, ნორმალურ დონეს დაბრუნდება.

ზემოთ აღწერილი ყველა და სხვა მნიშვნელოვანი საკითხების გათვალისწინებით, ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ კომპანია ფუნქციონირებად საწარმოს წარმოადგენს და ამ მხრივ მნიშვნელოვანი გაურკვევლობები არ არსებობს, შესაბამისად, ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვების პრინციპით.

17 ფინანსური ინსტრუმენტები

17.1 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა

სააღრიცხვო პოლიტიკები და მეთოდები, მათ შორის აღიარების კრიტერიუმები, რომლის საფუძველზეც ხდება შემოსავლის თუ ხარჯის აღიარება ფინანსური აქტივის და ვალდებულების კლასების შესაბამისად, წარმოდგენილია შენიშვნა 3.7-ში.

17.2 ფინანსური ინსტრუმენტების კატეგორიები

ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილია შემდეგი კატეგორიის ფინანსური აქტივები და ვალდებულებები საბალანსო ღირებულებით:

ფინანსური აქტივები

ლარი	2019 წლის 31 დეკემბერი	2018 წლის 31 დეკემბერი
სამორტიზაციო ღირებულება		
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	3,482,955	3,455,358
ფული და ფულის ექვივალენტები	1,074,287	890,015
სულ ფინანსური აქტივები	4,557,242	4,345,373

ფინანსური ვალდებულებები

ლარი	2019 წლის 31 დეკემბერი	2018 წლის 31 დეკემბერი
------	---------------------------	---------------------------

სამორტიზაციო ღირებულება

სესხები	484,703	1,028,924
საიჯარო ვალდებულებები	2,976,848	-
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	1,073,945	791,243
სულ ფინანსური ვალდებულებები	4,535,496	1,820,167

18 ფინანსური რისკის მართვა

კომპანია ფინანსურ ინსტრუმენტებთან დაკავშირებულ სხვადასხვა რისკებს ექვემდებარება. რისკების ძირითადი ტიპებია საბაზრო, საკრედიტო და ლიკვიდურობის რისკი.

კომპანია აქტიურად არ არის ჩართული ფინანსური აქტივებით ვაჭრობაში სპეკულაციური მიზნებისთვის და არც ოფციონებს უშვებს. ძირითადი რისკები, რომლებიც ფინანსურ აქტივებთანაა დაკავშირებული აღწერილია ქვემოთ.

ფინანსური რისკის ფაქტორები

ა) საბაზრო რისკი

კომპანია ექვემდებარება საბაზრო რისკებს ფინანსური ინსტრუმენტების და კონკრეტულად კი სავალუტო რისკის გამოყენებით, რომელიც მისი საოპერაციო საქმიანობიდან წარმოიშობა.

უცხოური ვალუტის რისკი

კომპანიას ზოგიერთი ოპერაციები აქვს უცხოურ ვალუტაში. აქედან გამომდინარე, აქვს საკურსო სხვაობები

კომპანიის ოპერაციათა უმეტესობა ხორციელდება ლარით. საკურსო სხვაობები ძირითადად წარმოშობილია კომპანიის მიერ უცხოურ ვალუტაში არსებული საბანკო ანგარიშებით და დაკავშირებული მხარისგან აშშ დოლარში მიღებული სესხით, რომელიც დაიფარა 2018 წელს.

უცხოურ ვალუტაში დენომინირებული აქტივები და ვალდებულებები, რომლებიც კომპანიას საკურსო რისკს უქმნიან, წარმოდგენილია ქვემოთ. თანხები ლარში გადაყვანილია წლის ბოლოს არსებული კურსით:

ერთეული

2019 წლის 31 დეკემბერი

ფინანსური აქტივები

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

ფული და ფულის ექვივალენტები

ფინანსური ვალდებულებები

სესხები

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

წმინდა პოზიცია

ერთეული

2018 წლის 13 დეკემბერი

ფინანსური აქტივები

ფული და ფულადი ექვივალენტები

ფინანსური ვალდებულებები

აშშ
დოლარი

ევრო

895

-

482,830

45,617

483,725

45,617

-

-

116,625

70

116,625

70

367,100

45,547

აშშ
დოლარი

ევრო

537,270

38,413

537,270

38,413

სესხები

-	-
-	-
537,270	38,413

წმინდა პოზიცია

ქვემოთ მოცემული ცხრილი ასახავს კომპანიის მგრძნობელობას 15%-იან (2018:15%) კლება/მატების გავლენას კომპანიის ფინანსურ ანგარიშებზე ლარის დოლარისა და ევროს მიმართ. 15% (2018: 15%) არის უცხოური ვალუტის გაცვლით კურსებში ხელმძღვანელობის მიერ შეფასებული სავარაუდო ცვლილება. მგრძნობელობის ანალიზი მოიცავს უცხოურ ვალუტაში არსებული ნაშთების ანალიზს და ახდენს წლის ბოლოს მათ კორექტირებას 15%-იანი (2018: 15%) განაკვეთით.

ქართული ლარი რომ სხვა ვალუტებთან მიმართებაში გამყარებულიყო 15%-ით (2017: 15%), მაშინ ამას ექნებოდა შემდეგნაირი გავლენა:

ლარი	დოლარის გავლენა		ევროს გავლენა	
	2019	2018	2019	2018
მოგება ან ზარალი	(55,065)	(80,591)	(6,832)	(5,762)

სავალუტო კურსის ცვლილებიდან წარმოშობილი რისკის დონე დამოკიდებულია წლის განმავლობაში უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციების მოცულობაზე, ამის მიუხედავად, ზემოთ წარმოდგენილი ანალიზი მიიჩნევა კომპანიის სავალუტო რისკის მიახლოებით შეფასებად.

საპროცენტო განაკვეთის რისკი

კომპანია ექვემდებარება საპროცენტო განაკვეთის რისკს, რადგან მისი საბანკო სესხი უკავშირდება ეროვნული ბანკის რეფინანსირების განაკვეთს, რომელიც შეიძლება შეიცვალოს დროთა განმავლობაში

2019

საშუალო საპროცენტო განაკვეთი	
კონტრაქტით	ფექტური

ვალდებულებები

სესხი კომერციული ბანკიდან

ლარი

13.75%

13.75%

2018

საშუალო საპროცენტო განაკვეთი	
კონტრაქტით	ფექტური

ვალდებულებები

სესხი კომერციული ბანკიდან

ლარი

10%

10%

ქვემოთ მოცემულია კომპანიის მგრძნობელობის ანალიზი 3%-იანი საპროცენტო განაკვეთის ცვლილებით. 3% წარმოადგენს მენეჯმენტის შეფასებას საპროცენტო განაკვეთის შესაძლო ცვლილების შესახებ.

თუ საპროცენტო განაკვეთი იქნებოდა 3%-ით მაღალი/დაბალი და ყველა სხვა ცვლადი იქნებოდა უცვლელი, კომპანიისათვის შემდეგი სურათი დადგებოდა:

- 2019 წლის 31 დეკემბრისთვის მოგება შემცირდებოდა/გაიზრდებოდა 13,508 ლარით (2018: 89,051);
- სხვა სრული შემოსავალი გაიზრდებოდა/შემცირდებოდა 13,508 ლარით (2018: 89,051).

ბ) საკრედიტო რისკი

საკრედიტო რისკი წარმოადგენს რისკს, რომ კონტრაგენტი ვერ შეასრულებს კონტრაქტით გათვალისწინებულ ვალდებულებას, რაც გამოიწვევს კომპანიის ფინანსურ ზარალს. კომპანია ატარებს საკრედიტო რისკს ფინანსური აქტივებისგან, რომელიც მოიცავს ფულს და ფულად ექვივალენტებს რომელიც განთავსებულია ბანკში, და სავაჭრო და სხვა მოთხოვნებს.

საკრედიტო რისკის მართვა ხდება ინდივიდუალურ საფუძველზე, კომპანიის ისტორიული გამოცდილების საფუძველზე, პაციენტებთან, სადაზღვევო კომპანიებთან და სხვა იურიდიულ პირებთან.

საკრედიტო რისკი დავაკვირებული ფულად ბალანსებთან ბანკში და დეპოზიტებზე იმართება საბანკო დეპოზიტების დივერსიფიკაციის საშუალებით, და განთავსებულია მხოლოდ მაღალი რეპუტაციის მქონდე საფინანსო ინსტიტუტებში.

კომპანია არ ფლობს რაიმე დაცვას სავაჭრო და სხვა მოთხოვნების ბალანსების დაცვისათვის. გარდა ამისა, კომპანია არ ფლობს გირაოს რომელიც ეხება ფინანსურ აქტივებს (მაგ: წარმოებულ აქტივებს, ფულს და ფულად ექვივალენტებს რომელიც განთავსებულია ბანკში).

სავაჭრო მოთხოვნები

კომპანია იყენებს ფასს 9-ის გამარტივებულ მოდელს სასიცოცხლო ვადის განმავლობაში მიღებული საკრედიტო ზარალისათვის ყველა სავაჭრო მოთხოვნაზე და ამ ერთეულებს არ აქვთ მნიშვნელოვანი დაფინანსების კომპონენტი.

მოსალოდნელი ზარალის განაკეთი დაფუძნებულია გადახდების პროფილზე მომსახურების გაყიდვიდან გასული ერთი წლის განმავლობაში, როგორც ამავე პერიოდის შესაბამისი ისტორიული საკრედიტო დანაკარგები.

სავაჭრო მოთხოვნები ჩამოიწერება როდესაც არ არის გონივრული მოლოდინი მათი დაბრუნებისა. თუ გადახდა დაგვიანდა 365 დღეზე მეტ პერიოდზე, ასევე ვერ მოხერხდა ალტერნატიული გზებით თანხის ამოღება, მაშინ ხდება აღნიშნული მოთხოვნის მოსალოდნელი ზარალის გაანგარიშება.

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი სავაჭრო მოთხოვნებზე 2019 წლის 31 დეკემბრისთვის და 2018 წლის 31 დეკემბრისთვის განსაზღვრულია:

2019 წლის 31 დეკემბერი

	მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი	მთლიანი საბალანსო ღირებულება	სიცოცხლეში მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი
6 თვეზე ნაკლები	100%	(74,751)	(74,751)
6 თვიდან 1 წლამდე	100%	(86,716)	(86,716)
1 წელზე მეტი	100%	(961,530)	(961,530)
		<u>(1,122,997)</u>	<u>(1,122,997)</u>

2018 წლის 31 დეკემბერი

	მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი	მთლიანი საბალანსო ღირებულება	სიცოცხლეში მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი
6 თვეზე ნაკლები	-	-	-
6 თვიდან 1 წლამდე	100%	(59,477)	(59,477)
1 წელზე მეტი	100%	(902,053)	(902,053)
		<u>(961,530)</u>	<u>(961,530)</u>

სავაჭრო მოთხოვნების ზარალის რეზერვის საბოლოო ბალანსი 2019 წლის 31 დეკემბრისთვის და 2018 წლის 31 დეკემბრისთვის რეკონსილირებული სავაჭრო მოთხოვნების ზარალის რეზერვის საწყის ბალანსებთან ერთად შემდეგია:

ლარი

	2019	2018
ზარალის რეზერვი 1 იანვრისთვის	961,530	936,120
ზარალის რეზერვი აღიარებული წლის განმავლობაში	208,752	49,267
ზარალის რეზერვი ჩამოწერილი წლის განმავლობაში	-	-
წლის განმავლობაში გამოუყენებელი ზარალის რეზერვის შეცვლა	(47,285)	(23,857)
ზარალის რეზერვი 31 დეკემბრისთვის	<u>1,122,997</u>	<u>961,530</u>

გ) ლიკვიდურობის რისკი

ლიკვიდურობის რისკი არის რისკი იმისა, რომ კომპანია ვერ შეასრულებს თავის ვალდებულებებს კრედიტორების მიმართ. კომპანია ფრთხილ პოლიტიკას ახორციელებს ლიკვიდურობის მართვასთან დაკავშირებით, რომელიც გულისხმობს საკმარისი რაოდენობის ფულის და მისი ექვივალენტების ფლობას,

აგრეთვე მაღალი ლიკვიდურობის აქტივების ფლობას, რათა კომპანიამ დროულად გადაიხადოს ყველა საოპერაციო და სასეხო ვალდებულება.

შემდეგი ცხრილი ასახავს არაწარმოებული ფინანსური ვალდებულებების გადახდის პერიოდებს. ცხრილი შედგენილია ფინანსური ვალდებულებების დასაფარად საჭირო არადისკონტირებული ფულადი ნაკადების საფუძველზე, იმ უახლოესი თარიღებისთვის, როდესაც შეიძლება კომპანიისგან მოთხოვნილ იქნას აღნიშნული ვალდებულების გასტუმრება. ცხრილი შეიცავს ფინანსური ნაკადების, როგორც ძირს, ასევე პროცენტს:

2019

	საპროცენტო განაკვეთის არმქონე	ფინანსური იჯარის ვალდებულ ებები	ცვალბადი საპროცენტო განაკვეთის მქონე ფინანსური ინსტრუმენტები	ფიქსირებული საპროცენტო განაკვეთის მქონე ფინანსური ინსტრუმენტები	ჯამი
საშუალო შეწონილი ეფექტური განაკვეთი (%)		10.30%	13.25%	12.84%	
6 თვეზე ნაკლები	1,073,945	951,400	471,163	-	2,496,508
6 თვიდან 1 წლამდე	-	778,800	-	-	778,800
1-5 წლამდე	-	1,557,600	-	-	1,557,600
5 წელზე მეტი	-	-	-	155,401	155,401
	<u>1,073,945</u>	<u>3,287,800</u>	<u>471,163</u>	<u>155,401</u>	<u>4,988,309</u>

2018

	საპროცენტო განაკვეთის არმქონე	ფინანსური იჯარის ვალდებულ ებები	ცვალბადი საპროცენტო განაკვეთის მქონე ფინანსური ინსტრუმენტები	ფიქსირებული საპროცენტო განაკვეთის მქონე ფინანსური ინსტრუმენტები	ჯამი
საშუალო შეწონილი ეფექტური განაკვეთი (%)		-	10%	12.84%	
6 თვეზე ნაკლები	791,243	-	49,124	-	840,367
6 თვიდან 1 წლამდე	-	-	49,943	-	49,943
1-5 წლამდე	-	-	1,027,234	-	1,027,234
5 წელზე მეტი	-	-	-	155,401	155,401
	<u>791,243</u>	<u>-</u>	<u>1,126,301</u>	<u>155,401</u>	<u>2,072,945</u>

კომპანია განიხილავს ფინანსური აქტივებიდან ფულადი სახსრების ნაკადს ლიკვიდურობის რისკის შეფასებისას, განსაკუთრებით მის ფულად სახსრებს და სავაჭრო მოთხოვნებს. კომპანიის ფულადი სახსრები და სავაჭრო მოთხოვნები აღემატება ფულადი სახსრების გადინების მიმდინარე მოთხოვნებს.

19 სამართლიანი ღირებულებით შეფასება

კომპანია გვთავაზობს იმ ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების ანალიზს, რომლებიც თავდაპირველი აღიარების შემდგომ შეფასებულია სამართლიანი ღირებულებით და აჯგუფებს მათ 3 დონეზე. თითოეული დონე განხილულია ქვემოთ:

- დონე 1 – სამართლიანი ღირებულების შეფასებისთვის ამოსავალი მონაცემები არის იდენტური აქტივების ან ვალდებულებების აქტიური ბაზრების კოტირებული ფასები (გაუკორექტირებელი), რომლის მოპოვება საწარმოს შეუძლია შეფასების თარიღისთვის.
- დონე 2- სამართლიანი ღირებულების შეფასებისთვის ამოსავალი მონაცემები არის მოცემული აქტივის ან ვალდებულების შესახებ 1-ელ დონეზე მიკუთვნებული ყველა მონაცემი, გარდა კოტირებული ფასებისა, რომლებიც ემპირიულია პირდაპირ ან არაპირდაპირ.

- დონე 3- სამართლიანი ღირებულების შეფასება დამოკიდებულია შეფასების ტექნიკებზე, რომელიც იყენებენ ისეთ მონაცემებს, რომლებიც არ ეფუძნება ბაზარზე ღიად დაკვირვებად მონაცემებს (არადაკვირვებადი მონაცემები)

19.1 ფინანსური ინსტრუმენტების სამართლიანი ღირებულებით შეფასება

ამორტიზირებული ღირებულებით აღრიცხული ფინანსური ინსტრუმენტები, რომელთა სამართლიანი ღირებულებაც გამჟღავნებულია ახსნა-განმარტებით შენიშვნებში

ხელმძღვანელობა მიიჩნევს, რომ ამორტიზებადი ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივების და ვადებულებების სამართლიანი ღირებულება შეესაბამება მათ საბალანსო ღირებულებას.

სამართლიანი ღირებულება განისაზღვრა მიმდინარე ფულადი ნაკადების დისკონტირებით შესაბამისი საბაზრო განაკვეთით მსგავსი ინსტრუმენტებისთვის. ამიტომ ყველაზე ნიშვნელოვანი მონაცემი სწორედ დისკონტის განაკვეთია. ზემოთ აღნიშნული ფინანსური აქტივები და ვადებულებები კლასიფიცირებული იქნება ქემოთ მოცემული დონეებიდან მესამეში.

20 კაპიტალის რისკის მართვა

კომპანიის კაპიტალის სტრუქტურა შედგება საწესდებო კაპიტალისგან, დამატებითი კაპიტალისა, აკუმულირებული მოგებისგან და სესხებისგან, რომელიც განხილულია შენიშვნა 9-ში. ხელმძღვანელობა აფასებს კომპანიის კაპიტალის სტრუქტურის მოთხოვნებს. იმისთვის, რომ ერთის მხრივ შეინარჩუნოს ეფექტური ფინანსირების სტრუქტურა, და მეორეს მხრივ თავიდან აიცილოს ზედმეტი დამოკიდებულება ნასესხებ სახსრებზე. ეს ითვალისწინებს კომპანიის სხვადასხვა კლასის სესხების სუბორდინაციის დონეებს. თანხები, რომლებსაც კომპანია კაპიტალში აღრიცხავს წლის ბოლოსთვის, არის შემდეგი:

ლარი	2019 წლის 31 დეკემბერი	2018 წლის 31 დეკემბერი
მთლიანი კაპიტალი	4,911,129	5,670,342
დამატებული: სუბორდინირებული სესხი		
გამოკლებული: ფული სალაროში და საბანკო ანგარიშებზე	(1,074,287)	(890,015)
კაპიტალი	3,836,842	4,780,327
მთლიანი კაპიტალი	4,915,529	5,670,342
სესხები	484,702	1,028,924
სრული ფინანსირება	5,400,231	6,699,266
კაპიტალის და საერთო დაფინანსების თანაფარდობა	0.71	0.71

21 პირობითი მოვლენები

21.1 ბიზნეს გარემო

საქართველო პოლიტიკური და ეკონომიკური ცვლილებების პროცესშია. როგორც განვითარებადი ბაზარი, საქართველო არ ფლობს განვითარებულ ბიზნეს და მარეგულირებელ ინფრასტრუქტურას, რომელიც ძირითადად დამახასიათებელია უფრო თავისუფალი საბაზრო ეკონომიკისათვის. უფრო მეტიც, ეკონომიკური მდგომარეობა ზღუდავს საქმიანობის მოცულობას ფინანსურ ბაზრებზე, რომელიც შეიძლება არ იყოს ასახული ფინანსური ინსტრუმენტების ღირებულებებზე. შემდგომი ეკონომიკური განვითარების ძირითადი დაბრკოლება ეკონომიკური და ინსტიტუციური განვითარების დაბალი დონეა, ცენტრალიზებული ეკონომიკური ბაზის, რეგიონალური არასტაბილურობისა და საერთაშორისო ეკონომიკურ კრიზისთან ერთად.

კოვიდ 19-ის პანდემიის გამო, იმ ქვეყნების ეკონომიკური მდგომარეობის გაუარესებამ, რომლებიც თანამშრომლობენ საქართველოსთან და რომლებზეც საქართველოს ეკონომიკა მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული, გამოიწვია ფულადი გზავნილების შემცირება საზღვარგარეთიდან. მომავალში სამთო პროდუქტებზე საერთაშორისო ფასების შემცირებამ, პირდაპირი კაპიტალის ინვესტიციების შესაძლო

მოზიდვასთან დაკავშირებულმა გაურკვევლობებმა, ინფლაციამ, ქართული ვალუტის მნიშვნელოვანმა დამოკიდებულებამ ამერიკულ დოლარზე და საქართველოს მთავრობის მიერ COVID 19-ის საპასუხოდ მიღებულმა გამკაცრებულმა ზომებმა, შესაძლოა გამოიწვიოს საქართველოს ეკონომიკისა და კომპანიის მდგომარეობის გაუარესება. მიუხედავად იმისა, რომ ეს განუსაზღვრელობა მოიცავს მრავალ დაშვებებს და ვარაუდებს, ხელმძღვანელობას არ შეუძლია კომპანიის აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებაზე გავლენის შეფასება.

კომპანიის მენეჯმენტი მიიჩნევს, რომ ამჟამინდელ პირობებში COVID 19 პანდემიის მოქმედება მნიშვნელოვნად არ მოქმედებს კომპანიის ყოველდღიურ საქმიანობაზე (იხ. შენიშვნა 15).

გარდა ამისა, 2019 წლის ბოლოს საქართველოს ჯანდაცვის მინისტრმა გამოსცა ბრძანება # 520, რომელიც გავლენას ახდენს გარკვეული სახის სამედიცინო მომსახურების ფასებზე და უარყოფითად მოქმედებს სამედიცინო ინდუსტრიაში. ამან ასევე იმოქმედა კომპანიის მომსახურებებზე და კომპანიის მენეჯმენტი გეგმავს ხარჯების შეფასებას და რესტრუქტურირებას, რათა შეამციროს ამ ტიპის რეგულაციებში ცვლილებებით გამოწვეული რისკები (იხილეთ მითითება 15).

ზოგადად, არ არის უჩვეულო საქართველოს მთავრობისა და მარეგულირებელი ორგანოების მიერ ახალი, მნიშვნელოვანი რეგულაციების (ნორმების) ან ცვლილებების მიღება კანონმდებლობაში, საჯარო ან დაინტერესებულ აქციონერებთან ერთად, შესაბამისი წინასწარი განხილვების გარეშე და არ არსებობს ეფექტური გზა მსგავსი ცვლილებების წინასწარ განსაჯრეტად, რაც ხშირად საკმაოდ საზიანოა ბიზნესისთვის. გადასახადები

საქართველოს საგადასახადო სისტემა ხასიათდება სწრაფი ცვლილებებით, რომელიც ძირითადად დაკავშირებულია განმარტებების ცვლილებებთან. ხშირია შემთხვევები, როცა სხვადასხვა ორგანოს მიერ გადმოცემული განმარტებები განსხვავდება ერთმანეთისგან. საგადასახადო კანონმდებლობა გადახედვას გადის საგადასახადო წარმომადგენლების მიერ, რომლებიც უფლებამოსილნი არიან კანონით დაარეგულირებულ ჯარიმები და საურავები.

ზემოთ ხსენებული ფაქტის გამო წარმოიშობა საგადასახადო რისკი, რომელიც ახასიათებს განვითარებად ქვეყნებს. ხელმძღვანელობას სჯერა, რომ საგადასახადო მოთხოვნების შესაბამისად წარადგენს საგადასახადო ვალდებულებებს. თუმცა, შესაძლოა, რომ განსხვავებული განმარტების შემთხვევაში ეფექტი იქონიოს კომპანიის წარდგენაზე.

22 ფინანსური საქმიანობიდან წარმოქმნილი ვალდებულებების რეკონსილაცია

კომპანიის ვალდებულებებში ცვლილება ფინანსური აქტივობებიდან კლასიფიცირდება შემდეგნაირად:

ლარი	გრძელვად იანი სესხები	მოკლევად იანი სესხები	საიჯარო ვალდებუ ლებები	სულ
2018 წლის 1 იანვარი	1,074,671			1,074,671
ფულადი ნაკადები				
სესხის მიღება	-	1,095,000	-	1,095,000
სესხის დაფარვა	(957,919)	(98,876)	-	(1,056,795)
გადახდილი პროცენტი	(29,879)	(67,907)	-	(97,786)
არაფულადი ნაკადები				
სამართლიანი ღირებულება	(11,695)		-	(11,695)
დარიცხული პროცენტი	33,956	72,396	-	106,352
საკურსო სხვაობის მოგება/ზარალი	(80,823)	-	-	(80,823)
რეკლასიფიკაცია	1,000,613	(1,000,613)	-	-
2018 წლის 31 დეკემბერი	1,028,924	-	-	1,028,924

ლარი	გრძელვად იანი სესხები	მოკლევად იანი სესხები	საიჯარო ვალდებუ ლებები	სულ
ფულადი ნაკადები				
მიღებული სესხები	-	-	-	-
სესხის დაფარვა	-	(545,859)	(1,029,474)	(1,575,333)
გადახდილი პროცენტი	-	(93,021)	(355,526)	(448,547)
არაფულადი ნაკადები				
ფასს 16-ის შესაბამისად საიჯარო ვალდებულების აღიარება	-	-	4,006,322	4,006,322
სამართლიანი ღირებულება	-	-	-	-
დარიცხული პროცენტი	3,862	90,797	355,526	450,185
საკურსო სხვაობის მოგება/ზარალი	-	-	-	-
რეკლასიფიკაცია	(1,000,613)	1,000,613	-	-
2019 წლის 31 დეკემბერი	32,173	452,530	2,976,848	3,461,551

23 დაკავშირებული მხარეები

კომპანიის დაკავშირებულ მხარეებს მიეკუთვნება მშობელი კომპანია, საერთო კონტროლის ქვეშ მყოფი კომპანიები და ძირითადი ხელმძღვანელობა.

23.1 საკონტროლო ურთიერთობები

კომპანიის 100% -იანი მფლობელი არის ამტელ ჰოლდინგს სინგაპურ პაივეტ ლიმიტედ (Amstel Holdings Singapore Pte Ltd, Singapore). კომპანიის მთავარი მკონტროლებელი პირები არიან ბატონი სუდჰირ გუფთა და ბატონი დანიელ გუფთა..

23.2 დაკავშირებულ მხარეებთან განხორციელებული ოპერაციები

საანგარიშო წლის განმავლობაში კომპანიას დაკავშირებულ მხარეებთან ჰქონდა შემდეგი ტრანზაქციები და საანგარიშგებო პერიოდისთვის ჰქონდა შესაბამისი ნაშთები:

ლარი ტრანზაქცია	2019 წლის 31 დეკემბერი	2018 წლის 31 დეკემბერი
მფლობელი		
საპროცენტო ხარჯის აღრიცხვა	-	30,556
გადახდილი პროცენტი	-	29,879
გადახდილი სესხი	-	957,920
საერთო კონტროლის ქვემოთ მყოფი ორგანიზაციები		
საიჯარო შემოსავალი	-	712,248
ფასს 16-ით გათვალისწინებული პროცენტი	355,526	-
ფასს 16-ით გადახდილი პროცენტი	355,526	-

ლარი ტრანზაქცია	2019 წლის 31 დეკემბრი	2018 წლის 31 დეკემბერი
ფასს 16-ის მიხედვით გადახდილი ძირითადი თანხა	1,029,474	-
ძირითადი ხელმძღვანელობის ანაზღაურება		
ხელფასები და პრემიები	90,344	93,403
ლარი მიმდინარე ნაშთები	2019 წლის 31 დეკემბრი	2018 წლის 31 დეკემბერი
საერთო კონტროლის ქვეშ მყოფი ორგანიზაციები		
აქტივების გამოყენების უფლება	2,670,881	-
გადახდილი იჯარა	-	260,455
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	301,573	-
საიჯარო ვალდებულებები	2,976,848	-